PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი*

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

**წევრები:**

მაია ომიაძე

ავთანდილ გეგენავა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2021 წლის 9 სექტემბრის N884860** ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა **შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის** (შემდგომში დაწესებულება) პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში თანდართულ ფაილებთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა ქვევით აღნიშნული დოკუმენტები:

1. დაწესებულების ორი თანამშრომლის პირადი საქმე;
2. დაწესებულების მიერ ვაკანსიის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციისა, დარგის შესაბამისი გამოცდილების, გავლილი კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სიმულატორების, ინსტრუქტორებისა და შემფასებლების სერთიფიკატების ასლები( შერჩევით 2 მასწავლებელი);
4. ტრენაჟერებზე მწარმოებლის მიერ გაცემული საბუთები, რომელიც გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. გემი „კაპიტან ო. ჩახვაძის“ ვადიანი საკლასიფიკაციო საზოგადოების მიერ გაცემული საბუთები გემის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ; გემზე არსებული ელექტრო და რადიო სანავიგაციო, სატაკელაჟო, საღუზე, გემსაბმელი, სამანქანო განყოფილების სისტემა დანადგარების ჩამონათვალი; გემის კოლექტიური უსაფრთხოების სამაშველო საშუალებების ჩამონათვალი; გემის ინდივიდუალური სამაშველო საშუალებების რაოდენობა და ჩამონათვალი (ეკიპაჟი+სტუდენტები), რომელიც იძლევა გემზე შესაბამისი რაოდენობისადამიანების უსაფრთხო ყოფნის შესაძლებლობას;
6. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის (გაუმჯობესების) გეგმა;
7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ჯგუფმა შეისწავლა წარმოებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი განახორციელა დისტანციური შეხვედრა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმდინარე წლის **23 და 24 სექტემბერს** ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. **(იხილეთ დანართი 1 - ვიზიტის განრიგი).** 23 სექტემბერს მოხდა დაწესებულების მატერიალური რესურსის, მათ შორის ბიბლიოთეკის, A, B და C (სიმულაციური სასწავლო გარემო/პრაქტიკის ობიექტი) გარემოს, ადაპტირებული გარემოს და სველი წერტილების დათვალიერება. 24 სექტემბერს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში დაწესებულების ადმინისტრაციასთან, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებაზე და სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პირებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, პერსონალის მართვაზე და განვითრებაზე, მატერიალურ, ფინანსურ და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ პირებთან, პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტურ სერვისებზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირებთან. წარმოების დასრულებამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა მიგნებები და გააცნო დაწესებულებას.

2021 წლის ივლისში სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშში, დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“** და **„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“** შეფასებული ჰქონდა, **როგორც სრულად შესაბამისი, ავტორიზაციის მე-2- ე სტანდარტთან მიმართებით;** დაწესებულების მიერ ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობა იხილეთ ქვემოთ **ცხრილი 1-ში.** მიმდინარე წარმოების ფარგლებში გამოგზავნილი დოკუმენტების შესწავლისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების შეფასება იხილეთ წინარე დასკვნის **III ნაწილი** (ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან მიმართებით შესაბამისობის ცხრილი).

მე-2-ე სტანდარტთან მიმართებით ექპერტთა ჯგუფმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“** და პროგრამა **„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“** შეაფასა როგორც **მეტწილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**შესაბამისი** ავტორიზაციის მე-2- ე სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების შეფასება იხილეთ წინარე დასკვნის **X ნაწილი** (პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი).

**ცხრილი 1**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | **სრული 3** | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | **სრული 3** | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | სრული 3 | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-----------

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები (უსდ-ს ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი **N11, 01.09.2018**)

1. რეკომენდირებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ, საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა და პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტაციის პაკეტის შემუშავება, რომელშიც მოდულური პროგრამების სპეციფიკა შესაბამისად იქნება ასახული;

   **შესრულებულია**

2. რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს პროფესიული პროგრამის დასახელება, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;

   **ნაწილობრივ შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა. შემუშავებულ იქნეს პრაქტიკის დღიურის ფორმა, სადაც პროფესიული სტუდენტები აღწერენ ყოველდღიურად შესრულებულ სამუშაოს შინაარსს, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორი დაადასტურებს ჩანაწერების ნამდვილობას და შეაფასებს პროფესიული სტუდენტების მიერ ჩატარებულ სამუშაოს, განმავითარებელი შეფასების პრინციპებიდან გამომდინარე; **მიმდინარე**

4. რეკომენდირებულია, მეტი ინფორმირებულობის მიზნით, პროგრამებში დაფიქსირდეს პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა (სასწავლო თვეები) ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი, პროგრამების შემუშავების სამართლებრივი საფუძველი, ასევე მოდულების „დამხმარე ჩანაწერების“ ნაწილში დაკონკრეტდეს მოდულის/სწავლის შედეგის განხორციელების ადგილი; **შესრულებულია**

5. რეკომენდირებულია, შემუშავდეს და დამტკიცდეს სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ უზრუნველყოფას, გააუმჯობესებს აღრიცხვიანობას და შესაძლებელს გახდის ეფექტიანობის ანალიზს ამ კუთხით; შესრულებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. რეკომენდირებულია გასწორდეს მოდულებში დაფიქსირებული ტექნიკური შეცდომები და უზუსტობები. კერძოდ:“გაცნობითი პრაქტიკის“ და უცხოური ენის(რუსული) მოდულებში ექსპერტთა დასკვნის შესაბამის ნაწილში(1.1) წარმოდგენილი შენიშვნების მიხედვით;
**შესრულებულია**
7. რეკომენდირებულია შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისა და დასაბუთების მეთოდოლოგია, რათა ახალი პროგრამების შერჩევა იყოს არგუმენტებითა და მტკიცებულებებით გამყარებული;
**შესრულებულია**
8. რეკომენდირებულია, დაიხვეწოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, გათვალისწინებული იყოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და ფაქტორი, რათა მიღებული შედეგი იყოს სანდო და დამაჯერებელი;
**შესრულებულია**
9. რეკომენდირებულია, დაწესებულებას ჰქონდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი/რეგულაცია სსსმ პირებისთვის, მობილობისა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში; **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

10. რეკომენდირებულია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ შიდა სამართლებრივ აქტებში, პროფესიული სწავლების საკითხების ასახვისას გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში იყოს „პროფესიული განათლების შესახებ კანონით“ დადგენილ და პროფესიული განათლების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინებთან, ასე მაგალითად პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული სტუდენტი და სხვა; **შესრულებულია**
11. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული კითხვების გადახედვა, რათა მათში ასახული იყოს მოდულური სწავლების სპეციფიკა; **გათვალისწინებულია**
12. რეკომენდირებულია, დაწესებულების სტრატეგიული გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ცალკე ქვესტრატეგიის ჩამოყალიბება, ხოლო სამოქმედო გეგმაში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ვადები და ა.შ. **გათვალისწინებულია**
13. სასურველია, მომავალში პროფესიული განათლების სწავლებისთვის ცალკე სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება; **გათვალისწინებულია**
14. რეკომენდირებულია, დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული იურიდიული დოკუმენტაციის (კოდექსები, კანონქვემდებარე აქტები და ა.შ)განახლების მექანიზმების დანერგვა; **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

15. რეკომენდირებულია, მოდულური სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით დაწესებულების ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული მასწავლებლების, ინსტრუქტორების პროფესიული განვითარების გაძლიერება; **შესრულებულია**
16. რეკომენდირებულია, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულებაში, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროფესიული პროგრამები, უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად აისახოს პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მუშაობის წესები. **შესრულებულია**

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა ცენტრის დირექტორის **2021 წლის 10 თებერვლის N53612** ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება:

1.2.1.

რეკომენდირებულია, დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში პროფესიული განათლების კუთხით ჩამოყალიბდეს მიზანი/მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, ხოლო სამოქმედო გეგმაში დაკონკრეტდეს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები და საჭირო რესურსები. **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
1.2.1

რეკომენდირებულია შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას დაწესებულებამ იმოქმედოს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

რეკომენდირებულია სტრატეგიულ გეგმაში გაიწეროს ზუსტი თაიმლაინი, რაც დიდ დახმარებას გაუწევს დაწესებულებას სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, რადგანაც სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი აქტივობები განსაზღვრული უნდა იყოს სტრატეგიული გეგმის მიხედვით დაგეგმილი კონკრეტული პერიოდის მიზნებითა და ამოცანებით

რეკომენდირებულია სამოქმედო სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავრული ჰქონდეს განსახორციელებელ აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური/მატერიალური რესურსი.

**მიმდინარე**

**1.2.2**

რეკომენდირებულია დაწესებულებამ გეგმების მონიტორინგისა და შეფასებისთვის გამოიყენოს შესაბამისი გეგმა და ფორმები, რომ ნათლად და გამჭვირვალედ ჩანდეს გეგმების შერულების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის ჩატარება რექტორის მიერ დამტკიცებული მონიტორინგისა და შეფასების გეგმის და მონიტორინგის ჩარჩოს შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 2021 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამწლიანი სამოქმედო გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის ჩატარებას დაწესებულება გეგმავს შესაბამისი ფორმით.

რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, რომელიც შესრულებული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად ყოველწლიურად განთავსდეს საჯაროდ ვებგვერზე.

**მიმდინარე**

**2.2.1**

რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს პროფესიული პროგრამის დასახელება, პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებს პრაქტიკის ობიექტი; **არ არის შესრულებული**

**3.1.1**

ექსპერტთა შეფასებით მესამე მუხლში გაწერილი სტუდენტის უფლებები და პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაში გაწერილი სტუდენტის უფლებები განსხვადება ერთმანეთისგან, რეკომენდირებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სტუდენტების უფლებები შესაბამისობაში იყოს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესთან. შესრულებული

რეკომენდირებულია დებულებაში მითითებული ნორმატიული დოკუმენეტები შესაბამისობაში მოვიდეს კანონთან პროფესიულ განათლების შესახებ.

**შესრულებულია**

რეკომენდირებულია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების სასწალო პროცესის მართვის დებულებასთან.

რეკომენდირებულია არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად პირის კანონიერმა წარმომადგენელმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, და განათავსდეს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირების საკითხს მათი ვალდებულებებისა და უფლებების შესახებ.

**შესრულებულია**

**3.2.1**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

რეკომენდირებულია კითხვარში ტერმინები შეესაბამებოდეს კანონს პროფესიული განათლების შესახებ (პროფესიული ლექტორი,სასწავლო კურსი).

**შესრულებულია**

რეკომენდირებულია დაწესებულება რეგულარულად ატარებდეს კვლევებს, და შედეგებს იყენებდეს პროფესიული სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

**მიმდინარე**

**3.2.2**

რეკომენდირებულია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს კვლევის მეთოდოლოგია, გაწერილი უნდა იყოს კვლევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან პირი, კვლევის ჩატარების პერიოდი, ძირითადი პარამეტრები რაც მოკლვეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და სხვა, კვლევა უნდა იყოს მეთოდოლოგიურად გამართული და სანდო.

**მიმდინარე**

რეკომენდირებულია ანგარიშში ზუსტად ჩანდეს პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირი და შესაბამისი რეაგირება პროფესიული განათლების მიმართულებით.

**მიმდინარე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.2.1

რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა რელევანტური იყოს პერსონალის საჭიროებასთან, რომ შესაძლებელი იყოს კომპეტენტური ტრენერების მოწვევა.

მიმდინარე

4.2.1

რეკომენდირებულია, მოდულური სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით, დაწესებულების ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული მასწავლებლების, ინსტრუქტორების პროფესიული განვითარების გაძლიერება;

შესრულებულია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს B და C გარემოს გამიჯნვა აკადემიური და პროფესიული პროგრამების მიმართულებით და შესაბამისი რესურსებით მათი უზრუნველყოფა.

შესრულებულია

5.1.1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
რეკომენდირებულია დაწესებულებას ჰქონდეს შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ განხორეციელებული ინსპექტირების შესახებ დოკუმენტაცია, მიუხედავად შემოწმების შედეგებისა. **არ არის გათვალისწინებული**

**5.1.2**

რეკომენდირებულია დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომ მიიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესრულებული

რეკომენდირებულია უმოკლეს ვადაში მოახდეს უსაფრთხოების წესების გაცნობა თანამშრომლებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის.

**შესრულებულია**

ექსპერტთა შეფასებით რეკომენდირებულია შენობის ყველა სართული, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი, უზრუნველყოფილი იყოს ვიდეო ჩაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერებით. შესრულებული

**5.2.1**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რეკომენდირებულია დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში ყველა თანამშრომელთან შეათანხმოს დადგენილი წესით, რომ დამსაქმებელი უზრუნველყოფს დასაქმებულის პერსონალურ მონაცემთა დაცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**შესრულებულია**

რეკომენდირებულია მათი ინფორმირება ხდებოდეს ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, შესაძლებელია გამოიყენონ ელ-ფოსტის ერთიანი ჯგუფი ან სხვა ელექტრონული სისტემა პროფესიული სტუდენტებისთვის, და პერსონალისთვის, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეთ პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს ტრენინგები ელექტრონული ფოსტის/კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**5.2.3**

რეკომენდირებულია ინგლისურენოვან ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული და რელევანტური ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.

**მიმდინარე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
რეკომენდირებულია ვეგვერდზე განათავსოს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განახლებული ინფორმაცია;

**მიმდინარე**

რეკომენდირებულია პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისთვის დაწესებულებამ შეიმუშაოს კატალოგი, რომელსაც განათავსებენ დაწესებულების ვებგვერდზე პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილ სექტორში http://www.mtc-anri.edu.ge/text.php?id=12&lang=ge. პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირს ასე უფრო გაუადვილდება საჭირო ინფორმაციის მიღება საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ.

**მიმდინარე**

ექსპერტთა აზრით რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააქტიუროს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან და მუდმივად ზრუნავდნენ საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**შესრულებულია**

**5.3.1**

რეკომენდირებულია დაწესებულების ფინანსურ რესურსებზე პასუხისმგებელმა პირმა თანმიმდევრულად მოახდინოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა, ყველა ოპერაცია და მოვლენისთვის მომზადდეს ზუსტი ფინანსური ანგარიშგება. **შესრულებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასტურდება ექსპერტთა მიერ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლით, დისტანციური ვიზიტით და 20.05.2021 სენატის სხდომის ოქმი N12-ით დამტკიცებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის/გაუმჯობესების) გეგმით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-------------------------------------

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

*განმავითარებელი რეკომენდაციები*

დაწესებულების მარეგულირებელ დებულებებში უხვად ვხვდებით ტექნიკურ ხარვეზებს, რეკომენდირებულია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებით, შესაბასომაბაში მოიყვანოს მის მიერ შემუშავებული რეგულაციები, სასურველია არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით, დაწესებლებამ მარეგულირებელ დოკუმენტებში ყურადღება მიაქციოს ისეთი ჩანაწერების, როგორიცაა: პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი, ეროვნულობა, პარტიულობა და სხვ.(ბიბლიოთეკის დებულება) და განათავსოს საჯაროდ დაწესებულების განახლებულ ვებგვერდზე.

1.1.სასურველია ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც აპირებს დაწესებულება შემუშავებული ხედვის რეალიზებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**1.2.** რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს თითოეული განსახორციელებელი აქტივობისთვის საჭირო ფინანსური/მატერიალური რესურსი. მაგალითად, ამოცანა "სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება: საჯარო ლექციების ორგანიზება; სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება" ექსპერტთა შეფასებით საჭიროებს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას დაწესებულების მხრიდან.

- რეკომენდირებულია განახლებულ ვებგვერდზე მოხდეს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განთავსება, რომელიც შესრულებული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად, ინფორმაციის საჯაროს განთავსება მოხდეს ყოველწლიურად. ექსპერტთა შეფასებით კომპონენტი მეტწილად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

**2.1**რეკომენდირებულია დაწესებულებამ სამომავლოდ შეიმუშაოს დასაქმების მაჩვენებლის შეფასებისთვის სხვა მექანიზმებიც, მაგალითად კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და უკუკავშირი, რაც თავის მხრივ რეალურად აჩვენებს დასაქმების მაჩვენებელს და გაამყარებს პროგრამის განხორციელების დასაბუთებას.

- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებებში სწორად ჩამოაყალიბოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, დაშვების წინაპირობები და მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.
- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ექსპერტთა რეკომენდაცია ინგლისური ენის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ.
- რეკომენდირებულია, დაწესებულებამ ზუსტად დათვალოს პრაქტიკის ობიექტების (გემების) გამტარიანობა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა და შეფასების დროს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- პროგრამის შემუშავების წესში რეკომენდებულია გაიწეროს როგორ ახდენს დაწესებულება პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენას შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით. სასურველია დაზუსტდეს ინიცირების წყარო ან ინიციატორი,შესაძლო გარემოებები რის საფუძველზეც დაწესებულება გეგმავს პროგრამის შემუშავების/ცვლილების/გაუქმების პროცედურას.
- მოდულების შემუშავების წესში რეკომენდებულია დაზუსტდეს, რა შემთხვევაშია დასაშვები მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილება და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში რა გზას მიმართავს დაწესებულება.
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესში რეკომენდებულია გაიწეროს, რომ პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია განმეორებითი შეფასების დროს გამოიყენოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში შეცვალოს იგი. შეფასების წესში გასაჩივრების/აპელაციის ვადები გაიწეროს ისე, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა იმ მოდულის ფარგლებში, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება. წინაპირობიანი მოდულის განმეორებით გადაბარების შემთხვევაში, გადაიხედოს მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალის რელევანტურობა მომდევნო მოდულთან მიმართებაში, რათა არ შეიქმნას პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/სწავლის შედეგის მიღწევის პრობლემა.
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგების შეფასების წესში მითითებულ შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებთან.
- რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტთან დადებულ მემორანდუმებში არ ფიქსირდებოდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, დაკონკრეტდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება და შემავალი მოდულ(ებ)ი/სწავლის შედეგები, რომლებიც მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე.
- **საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის ასახული: ჩარჩო დოკუმენტში მე-10 პუნქტში მოცემულია - **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება -**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**ჩამონათვალი და ასევე მართლმეტყველების და მართლწერის საკითხები და ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:**

- ✓ საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ✓ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“
- ✓ საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“

**პროფესიული სტანდარტები:**

- ✓ გემბანის რიგითი მეზღვაური / მატროსი;
- ✓ თევზსაჭერი გემის ნავიგატორი - / მეთევზე-მეზღვაური.

**კლასიფიკატორები:**

- ✓ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- ✓ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- ✓ განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED)

- საგემბანე და სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის გამოგზავნილი პროგრამის **ზოგად მოდული - უცხოური/ინგლისური ენა, სტატუსი სავალდებულო ზოგადი** - შესაცვლელია ლიტერატურის ჩამონათვალი, კერძოდ შესაყვანია ის წყაროები, რასაც სინამდვილეში იყენებენ მასწავლებლები ზოგადი ინგლისური ენის სწავლების დროს.ხოლო, პროგრამის **სავალდებულო პროფესიულ მოდული - სპეციალური ინგლისური გემბანის რიგითი მეზღვაურისათვის, სტატუსი სავალდებულო პროფესიული/ დარგობრივი** - ლიტერატურის ჩამონათვალში,აუცილებლად დასამატებელია - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ზღვაში კომუნიკაციისათვის სტანდარტული ფრაზები;
- რეკომენდირებულია მოხდეს **სამოქალაქო განათლების მოდულის ცვლილების** ასახვა პროგრამაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**2.2.** დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამით გათვალისწინებული 40 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის განახორციელოს საკუთარ მფლობელობაში არსებული გემის „კაპიტანი ო. ჩახვაძთან“ ერთად მოიძიოს ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები.

- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამის 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი ისე გაწეროს, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება.

**3.1.**რეკომენდირებულია ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს, საჯაროდ განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე.

- რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში გაიწეროს, როგორ რეაგიერებს დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებზე/შემხვედრ საჭიროებებზე/ წერილობითი მომართვიანობის შემთხვევაში.
- ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობების ნაწილში რეკომენდებულია გაიწეროს ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შესაძლო საპატიო მიზეზები და ინფორმირების მექანიზმები.
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის მექანიზმში რეკომენდირებულია ტერმინები შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის მიერ დამტკიცებულ ჩარიცხვის წესთან.
- პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესში რეკომენდებულია დაზუსტდეს რა ვადით შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ისარგებლოს შეჩერების უფლებით და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან რა ვადაში შეუძლია მიმართოს დაწესებულებას შეჩერების მოთხოვნის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 15 კვირის ვადაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- უმჯობესია დაწესებულებამ დააზუსტოს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესაძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით.
- რეკომენდირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესში რეკომენდებულია გაიწეროს ინდ.გეგმის შემუშავების სხვა ალტერნატიული შემთხვევებიც, გარდა სსსმ და შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ადაპტირების ხელშეწყობისა. (მაგალითისთვის, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და სხვა შესაძლო ვარიანტები, რომლებსაც დაწესებულება განსაზღვრავს).
- რეკოემნდირებულია დაზუსტდეს, რომ სსსმ/შშმ პირების გარდა, პროფესიულ სტუდენტსაც შეუძლია სერტიფიკატის და დანართის მიღება. დაწესებულება ვალდებულია გასცეს სერტიფიკატი და სერტიფიკატი დანართი იმ შემთხვევაში თუ ყველა მოდული ვერ დაადასტურა.
- ვინაიდან ვიზიტის დროს, ინტერვიუირებისას დაზუსტდა, რომ აპლიკანტთა ცოდნის შემოწმება ხდება ინგლისურ ენაში და შემდგომ მათი გადანაწილება შესაბამისი დონის სასწავლო ჯგუფებში, რეკომენდებულია გაჩნდეს შესაბამისი ჩანაწერი ჩარიცხვის წესშიც.
- გასაუბრების შედეგად გამოვლინდა იმის საჭიროება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებაში დაზუსტდეს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ არც თავდაპირელი და არც ხელახალი გაწევრიანება არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებას.
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განათლების/ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება გაავრცელოს ყველა პროფესიულ სტუდენტზე პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიანიჭოს პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გასცეს მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დანართი, ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, ხოლო მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ - ცნობა.

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ჩარიცხვის წესში გააჩინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ორივე მექანიზმი, ცოდნის განმსაზღვრელი ტესტის ჩატარების საჭიროება და უზრუნველყოს მისი საჯაროობა. დაკორექტირდეს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა/პოზიცია და პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის მექანიზმი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად.რეკომენდებულია ჩარიცხვის წესში, ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობების ნაწილში, გაიწეროს ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შესაძლო საპატიო მიზეზები და ინფორმირების მექანიზმები.

**4.1.**რეკომენდირებულია ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს და ვებგვერდის მეშვეობით ინფორმირებას, საჯაროდ განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე.

- რეკომენდებულია დასაქმებულთა პირადი საქმეები მოწესრიგდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილ მოთხოვნებთან; უცხო ენაზე გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულ და დადასტურებულ იქნას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ;
- რეკომენდებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდეს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- რეკომენდებულია დაზუსტდეს დასაქმებულთა სამუშაო დრო, როგორც დაწესებულების შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად. შინაგანაწესში და ხელშეკრულებაში ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ჩანაწერია.
- შრომითი ხელშეკრულების საგანში გაიწეროს პროფ. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები (თუკი კონკრეტული მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს კითხულობს).
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სტრუქტურაში გამოაჩინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სტრუქტურული დაქვემდებარება.
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილი პირადი საქმის წარმოების წესით და შესაბამისობაში მოიყვანოს დადგენილ რეგულაციასთან. მოსთხოვოს დასაქმებულს/პოტენციურ თანამშრომელს უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირადი საქმის წარმოების წესში იმპერატიულ მოთხოვნად გაწეროს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარდგენის აუცილებლობა (გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში).
- რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებსა და შრომის შინაგანაწესში დაზუსტდეს დასაქმებულთა სამუშაო დრო, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად და შესაბამისობაში მოვიდეს კვირეულ 40 საათიან სამუშაო დატვირთვასთან. ასევე, გაიწეროს რეგულაცია შაბათ დღეს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნებისთვის, რაც პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში და განხორციელდეს შესაბამისი აღრიცხვიანობა.
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტატუსი შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. შრომითი ხელშეკრულების საგანში გაიწეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები (თუკი კონკრეტული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს კითხულობს). აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული ბაზის ცოდნის მოთხოვნა და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ვალდებულება.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურებიდან ამოშალოს აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები.დაწესებულების განმარტებით, წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის თანახმად, მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობების და სამუშაო პირობების ნორმატიული ცვლილებები და შესაბამისობაში მოვა 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე.

**5.2.** რეკომენდირებულია დაწესებულებამ განახლებული ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის მეშვეობით მიიღოს უკუკავშირი და გამოიყენოს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**5.3.** რეკომენდირებულია დაწესებულების ფინანსურ რესურსებზე პასუხისმგებელმა პირმა თანმიმდევრულად მოახდინოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა, ყველა ოპერაცია და მოვლენისთვის მომზადდეს ზუსტი ფინანსური ანგარიშგება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

### 1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მისია, რომელიც დამტკიცებულია – დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 28 მაისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13): „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ეფუძნება რა პროფესიული განათლების, ასევე მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს, ისწრაფვის საზღვაო დარგებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის გავრცელებისაკენ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუმარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი საზღვაო-სავაჭრო ფლოტისა და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის პროფესიულ განათლებას, რომელიც განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნით და ავითარებს საკუთარ პოტენციალს. ამით სასწავლებელი ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.“

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების გაცხადებული მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. ექსპერტთა შეფასებით მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულება, კერძოდ მისიაში ჩანს, რომ დაწესებულება ისწრაფვის საზღვაო დარგებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის გავრცელებისაკენ, რაც განასხვავებს მას სხვა დაწესებულებისგან;

3. დაწესებულების ხედვაა „სასწავლებელი ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნად და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში ხელმისაწვდომ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტი სწავლების პრინციპს და სწავლებისა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
და დარგობრივი გამოყენებითი კვლევების ინტეგრირებას.“ **სასურველია ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც აპირებს დაწესებულება შემუშავებული ხედვის რეალიზებას.**

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის თავის საქმიანობას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებზე:

- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- ტოლერანტობა;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- მრავალფეროვნება;
- თავისუფლება და პასუხისმგებლობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება;
- ღიაობა და გამჭირვალეობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;“

2021 წლის 14 ივნისის სენატის დადგენილებით, ოქმი N14-ით დამტკიცებული დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა(2021-27წ.წ.) უზრუნველყოფს სასწავლებლის მისიის აღსრულებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების გაცხადებული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

5. ექსპერტთა შეფასებით მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე. მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო დაწესებულების ყოველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები; ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 28.05.2021 გენერალური დირექტორის N 58 ბრძანებით დამტკიცებული ბუსსს ანრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება. ბრძანებით განსაზღვრულია შესასრულებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის ყოველი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და პროფესიული სტუდენტები. დაწესებულების ვებგვერდი ადმინისტრაციული წარმოების დროს განახლების რეჟიმში იყო, ექსპერტებმა IT მენეჯერის დახმარებით შეძლეს დაეთვალიერებინათ ვებგვერდის საცდელი ვერსია- ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაარკვიეს, რომ ისინი იცნობენ დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს და იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში მარტივად მონახავენ ვებგვერდზე. მათთან გასაუბრებით გაირკვა, რომ 1 თვეში დაწესებულების ვებგვერდი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, რასაც ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის/გაუმჯობესების გეგმა(დამტკიცებული გენერალური დირექტორის მიერ 20.05.2021), რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 20 ნოემბრისთვის დასრულებული უნდა იყოს ვებგვერდის განახლება/რესტრუქტურიზაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების მისია,ხედვა, ღირებულებები;*
- *მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტი;*
- *დაწესებულების გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუსსს ანრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *სტანდარტებთან შესაბამისობის/გაუმჯობესების გეგმა;*
- *დაწესებულების სტრატეგიული გეგმა(2021-27წ.წ.).*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს შემუშავებული აქვს „ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო სამოქმედო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება“, რომელიც ასახავს დაწესებულების ერთწლიანი, გეგმის დაფუძნების და დანერგვის მიზნებს, მათ სტრუქტურას, ერთწლიანი გეგმის შემუშავების წესს და კონტროლს, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, შემოწმებას და კონტროლს. დოკუმენტს ასევე ახლავს პერიოდული შეფასების და პერსონალის მიერ დოკუმენტის გაცნობის ფურცლები.

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027) მოიცავს ინფორმაციას: სასწავლებლის ისტორიის, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, დაგეგმვის ინიცირების, მომზადების და განხილვის, დამტკიცების, სამოქმედო გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედგენის მონიტორინგის შესახებ. დოკუმენტში დაწვრილებითაა აღწერილი ბუსსს ანრის მიღწევები, მათ შორის პროფესიული განათლების მიმართულებით, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში, ისე ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISO) შესაბამისობის მიმართულებით, ასევე აღწერილია საერთაშორისო დარგობრივ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის შესახებ ინფორმაციები.

სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში მოცემულია SWOT ანალიზი, სადაც პროფ. სტუდენტზე, მსმენელზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება, სასწავლებლის ძლიერ მხარედ არის იდენტიფიცირებული. მისიისა და ხედვის საფუძველზე, სასწავლებლის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხების გადასაწყვეტად დაწესებულების მიერ განისაზღვრა განვითარების **7** პრიორიტეტული მიზანი, **15** სტრატეგიული ამოცანა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, შესრულების სტატუსი.

ექსპერტთა შეფასებით შესწავლილ დოკუმენტებში ჩანს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, რომლითაც დაწესებულება უნდა ხელმძღვანელობდეს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას და შეფასებისას. ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო სამოქმედო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება შემუშავებულია ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. დოკუმენტის თანახმად „სტრატეგიული განვითარების გეგმა - ორგანიზაციის მიერ, მრავალწლიან პერსპექტივაში, დანახული განვითარების მიმართულება, რომელიც გვეუბნება, თუ რა მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა სურს ორგანიზაციას. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სასწავლებლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს ასახავს. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს სასწავლებლის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს - ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, ჩართულ მხარეებს.“

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა თანამონაწილეობითი პროცესია. სტრატეგიული გეგმის გადახედვის ინიცირება ხდება გენერალური დირექტორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიერ, რომლის ხელმძღვანელობით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავებას და ამ პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვას. 2021-2027 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომლითაც განსაზღვრულია სასწავლებლის მომავალი შვიდი წლის (2021-2027) ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიული ამოცანები. რომელიც გვაჩვენებს მკაფიო მიმართულებას და გადაწყვეტილებათა ლოგიკას მისიის განსახორციელებლად. 2019 წელს სასწავლებელმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლების აუცილებლობა განაპირობა 2021 წლის ავტორიზაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტის შედეგებმა და გარე ექსპერტების მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ:

- განახლდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სტარტეგიულ გეგმაში გაიწეროს მიზანი/მიზნები, ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლებლის გენერალური დირექტორის ინიცირებით დღის წესრიგში დადგა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის საკითხი. პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა სტრატეგიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სასწავლებლის ფართო საზოგადოების ჩართვაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სასწავლებლის გენერალური დირექტორი. პროცესში მონაწილეობდნენ პროფესიული სტუდენტები და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლები. 2021-2027 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და 2021 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი განხორციელდა სასწავლებელში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

3. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სტარტეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტთა შეფასებით 1.1.1 კომპონენტს მჭიდრო კავშირი აქვს 1.2.1 კომპონენტის მე-3-ე ინდიკატორთან „დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს“. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მისიიდან გამომდინარეობს, გეგმაში განსაზღვრულია განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, და თაიმლაინი. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზნის მიღწევის ინდიკატორები-იმ ობიექტური გარემოებების ჩამონათვალი, რომელიც დაადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ გაწერილი მიზნები ნამდვილად იქნება მიღწეული.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გეგმა ითვალისწინებს მიზნებს, ამოცანებს და განხორციელების მექანიზმებს, განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურას, შემსრულებელს, ფინანსურ რესურსებს. გეგმაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფინანსური რესურსი არ არის მითითებული ყველა ამოცანისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, თუ ამოცანის შესასრულებლად დაწესებულებას ესაჭიროება მინიმალური ფინანსური დანახარჯი, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იქნა მითითებული ბიუჯეტის მუხლით. **რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს თითოეული განსახორციელებელი აქტივობისთვის საჭირო ფინანსური/მატერიალური რესურსი. მაგალითად, ამოცანა "სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება: საჯარო ლექციების ორგანიზება; სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება" ექსპერტთა შეფასებით საჭიროებს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას დაწესებულების მხრიდან.**

ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 1წლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდეგნილი პასუხისმეგებელი პირების/სტრუქტიურების და შემსრულებლების ფუნქცია-მოვალეობები, მათი ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია 1 წლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანებსა და განხორციელების მექანიზმების შესრულებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის პასუხისმგებლებებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *„ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების*
- *შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება“;*
- *უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა(შვიდწლიანი), ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *დაწესებულების 2021წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *„ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. დოკუმენტის თანახმად დაწესებულებაში უნდა ჩატარდეს სასწავლებლის

PDF Eraser Free

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი იმის დასადგენად, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული გეგმები, დადგენილ ვადებში, დაგეგმილი ბიუჯეტითა და რესურსებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი შეფასების გეგმის და მონიტორინგის ჩარჩოს ფორმა. სასწავლებელის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას ახდენს სასწავლებელის გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში სამუშაო ჯგუფი). გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დროს ხდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება - ლექტორები, სტუდენტები, თანამშრომლები. წარმოების დროს ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა და დასაქმებულთა კვლევის შედეგები.

ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის სპეციალისტი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი. წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტები ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად შპს ბუსსს ანრის მთელი პერსონალისათვის. ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტები მოიცავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხსმ-ს ანალიზის შედეგების მიხედვით, ბუსსს ანრის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებას;
- ბუსსს ანრის შიდა შემოწმების შედეგების შეფასება;
- ბუსსს ანრის შიდა აუდიტორების მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის ანალიზს;
- გარე და ინსპექციური შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის ანალიზს;
- ბუსსს ანრის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის ანალიზს;
- ფუნდამენტალურ პროცესებზე მეთვალყურეობის / მონიტორინგის ანალიზს;
- ბუსსს ანრიში შემოსული პრეტენზიების ანალიზს;
- ხმს-ს სამუშაოებისათვის აუცილებელ დოკუმენტთა საკმარისობის განსაზღვრას;
- ხმს-ს გასაუმჯებესებელი, უფრო დასახვეწი წინადადებების, რეკომედანციებს;
- SWOT ანალიზს;

2021 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზს დაწესებულება გეგმავს შეფასების გეგმის და მონიტორინგის ჩარჩოს შესაბამისად. ჩარჩოს შევსების შემდეგ მარტივად იქნება შესაძლებელი ინდიკატორის შესრულების სტატუსის დადგენა: შესრულდა სრულად, უმეტესად, ნაწილობრივ თუ არ შესრულდა, რაც საშუალებას იძლევა ნათლად და გამჭვირვალედ გამოჩანდეს გეგმების შესრულების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე; დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო/სამუშაო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულების თანახმად, დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის სპეციალისტი და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი შეიმუშავებენ „ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის დოკუმენტს“. დოკუმენტის შერულებაზე პასუხისმგებელი პირი დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია. დოკუმენტი ეყრდნობა წინა ანალიზის შედეგების ღონისძიებათა ჩატარების შედეგებს. ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების შედეგებს, რუსული რეგისტრის აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებს. დაწესებულება ანალიზს ატარებს წელიწადში ერთხელ, რომ შემოწმებულ იქნას ბუსსს ანრიში ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი და ეფექტური მუშაობა მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, თავისი მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

3. ვიზიტის დროს დაწესებულების ვებგვერდი მიუწვდომელი იყო ტექნიკური სამუშაოების გამო, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ვებგვერდი განახლების პროცესშია, 2021 წლის 20 მაისს დამტკიცებულ მაკორექტირებელ გეგმაში დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სამუშაოების დასრულება **2021წლის 20 ნოემბრისთვის.** ექსპერტებმა IT მენეჯერის დახმარებით შეძლეს დაეთვალიერებინათ ვებგვერდის საცდელი ვერსია,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, რომელიც ინტეგრირებულია ხარისხის სამსახურის ანალიზის დოკუმენტში და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **რეკომენდირებულია განახლებულ ვებგვერდზე მოხდეს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განთავსება, რომელიც შესრულებული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად, ინფორმაციის საჯაროს განთავსება მოხდეს ყოველწლიურად.ექსპერტთა შეფასებით კომპონენტი მეტწილად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები - მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეფასების გეგმა და ჩარჩო;*
- *მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;*
- *ერთწლიანი სამოქმედო და განვითარების 7 წლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათ შესრულებაზე კონტროლის გაწევის დებულება;*
- *დაწესებულების საქმიანობის წლიური ანგარიშები- 2020 და 2019 წლიბის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი.*
- *დაწესებულების ვებგვერდი.*ბუსსს ანრი (mtc-anri.edu.ge)
- *20.05.2021 სენატის სხდომის ოქმიN12-ით დამტკიცებული „მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა“;*
- *2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა; დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულებით გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ნორმატიული ბაზა. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება და დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდება „პროფესიულ საგანმანათლბელო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ზ ბრძანების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობის წესით, პროფესიული სტუდენტის შეჩერებით, აღდგენითა და შეწყვეტით, პროფესიული სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მექანიზმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განმეორებით გამოცდაზე დაშვების მოთხოვნით, საბიბლიოთეკო მომსახურებით, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულებისა და დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვა რეგულაციების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი, სადაც ხელშეკრულების მხარეებად მითითებულნი არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი-ს რექტორი და გასაუბრების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი. ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ფუნქციონალური სტრუქტურის შესაბამისად, სასწავლებელს ჰყავს გენერალური დირექტორი და ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას. ასევე, დაზუსდა, რომ გასაუბრების შედეგად დაწესებულება აპლიკანტებს რიცხავს თვითდაფინანსებით, ხოლო შიდა ტესტირების ფარგლებში - სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერის საფუძველზე. ასევე, ინგლისური ენის აქტუალობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ცოდნის განმსაზღვრელ ტესტირებას ინგლისურ ენაში და პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას შესაბამის სასწავლო ჯგუფებში. აქედან გამომდინარე, **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ჩარიცხვის წესში გააჩინოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ორივე მექანიზმი, ცოდნის განმსაზღვრელი ტესტის ჩატარების საჭიროება და უზრუნველყოს მისი საჯაროობა. დაკორექტირდეს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა/პოზიცია და პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის მექანიზმი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ზ ბრძანებისა და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად.რეკომენდებულია ჩარიცხვის წესში, ტესტირებაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობების ნაწილში, გაიწეროს ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შესაძლო საპატიო მიზეზები და ინფორმირების მექანიზმები.**

პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება და აპლიკანტთა შიდა შერჩევის წესი გაწერილია გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში (2021 წლის 12 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N16).

პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვას ასევე ხელს უწყობს დაწესებულების მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება. დებულებაში არის ჩანაწერი, რომ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისას პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, საბიბლიოთეკო მომსახურებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგად დაზუსტდა, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ არც თავდაპირელი და არც ხელახალი გაწევრიანება არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებას და აღნიშნული მოთხოვნა დაკავშირებულია მხოლოდ წიგნის დაკარგვის ან საბიბლიოთეკო რესურსის განზრახ დაზიანებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დააკორექტიროს შესაბამისი ჩანაწერი ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებაში.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმები და რეგულაციები, შექმნილია პირობები სათანადო კონსულტაციების მისაღებად და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ექსპერტებმა შეისწავლეს 2020-2021 წლების კონსულტაციების გრაფიკი, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ სენატის 2021 წლის 27 ივლისის N18 სხდომის ოქმის საფუძველზე.

**პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ შიდა და გარე მობილობის უფლებით. პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსთან წარმოებული ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ პროფესიული სტუდენტები სწავლის დაწყებიდან 15 კვირის ვადაში სარგებლობენ მობილობის უფლებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესში გაწეროს რა ვადით შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ისარგებლოს შეჩერების უფლებით და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან რა პერიოდში შეუძლია მიმართოს დაწესებულებას შეჩერების მოთხოვნის თაობაზე. აგრეთვე, უმჯობესია დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესაძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ აგრეთვე დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი. აღნიშნული რეგულაციის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები ინტეგრირებულია დაწესებულების სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტსა და პროფესიული სტუდენტთა ხელშეკრულებაში. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, პროფესიული განათლების დეპარტამენტი და ადმინისტრაცია. დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებში მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ნერგავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დარღვევაზე გამჭვირვალე და სამართლიან რეაგირების მექანიზმებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუირება მოახდინა პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელთან და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დაადგინა, რომ განყოფილება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ადმინისტრაციის ჩართულობით უზრუნველყოფს სტუდენტური სერვისების განვითარებას, საკონსულტაციო მომსახურებას, პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო სივრცესა და საერთო საცხოვრებელში სრულფასოვანი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრაციის ხელშეწყობას, პროფესიულ სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერას და შესაბამისი საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით ტრენინგების/კურსების/პროგრამების/ღონისძიებების მოთხოვნათა კვლევასა და ორგანიზებას. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის გარემოს და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს სთავაზობს სოცილური მხარდაჭერის ღონისძიებებს, მათ შორის საერთო საცხოვრებლით სარგებლობას, სწავლის საფასურზე ფასდაკლებას, საწვრთნელი კურსების ფასდაკლებით გავლას და სხვა, რომლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა გაწერილია სამოქმედო გეგმის შესამაბამისი ამოცანით.

**3.** პროფესიული სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასების სისტემის შესახებ და გარანტირებული აქვთ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის მე-15 და მე-16 მუხლების თანახმად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს შეფასების შედეგების გაცნობითა და უარყოფითი შეფასების გასაჩივრებით. წესის შესაბამისად, პერიოდული შეფასების შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დეპარტამენტს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა. საჩივარი უფლებამოსილია წარადგინოს როგორც პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებაში წერილობით, ასევე გადააგზავნოს სასწავლებლის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@mtc-anri.edu.ge. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესითვე უზრუნველყოფილია სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების (განმეორებითი შეფასების) მექანიზმებიც, **თუმცა ექსპერტთა შეფასებით, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადები მოიყვანოს შესაბამისობაში, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება.**

4. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად უზურნველყოფილია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, რაც დასტურდება შპს ანრიში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა შპს ბუსსს ანრიში უნდა წარადგინოს:

1) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება;

2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

3) სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

4) სამედიცინო ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საქართველოს საზღვაო სამედიცინო ცენტრში;

5) ცნობა ფსიქოლოგიური დისპანსერიდან;

6) ცნობა ნარკოლოგიური დისპანსერიდან;

7) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა;

8) 4 ფოტოსურათი 3x4-ზე;

9) არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, შპს ბუსსს ანრის უფლება აქვს, პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით, დამატებით დაუწესოს და მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები.

პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სწავლის შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, სასწავლებელსა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა. ხელშეკრულება შემუშავებულია პროფესიული სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე და საზღვაო სასწავლებელი უზრუნველყოფს მისი შინაარსის გაცნობას პროფესიულ სტუდენტებისთვის.

5. დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულების მე-17 მუხლში გაწერილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. წესის თანახმად, თუ სასწავლო პროცესში ჩნდება საჭიროება პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალურად გაიწეროს სასწავლო მიზნები და შედეგები, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი და პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

განათლების მასწავლებელი სტუდენტთან შეთანხმებით ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით. თუმცა სასურველია, აქვე დაზუსტდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ალტერნატიული შემთხვევებიც, მათ შორის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აღდგენის, დაუდასტურებელი მოდულის/სწავლის შედეგის მიღწევის სხვა შესაძლო გარემოებები და გაიწეროს არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

6. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათ არ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება და აგრეთვე მიზანშეწონილად თვლიან მხოლოდ ზოგადი და არჩევითი მოდულების ადაპტირებას სასწავლებლის სპეციფიკიდან და „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების" მოთხოვნებიდან („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება) გამომდინარე. მათი განმარტებით, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის შეუძლებელია „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების" შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის თანახმად, სსსმ და შშმ პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტების მიერ ზოგადი და არჩევითი მოდულების სრულად ათვისების შემთხვევაში, გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. **ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განათლების/ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება გაავრცელოს ყველა პროფესიულ სტუდენტზე პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მიანიჭოს პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გასცეს მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი, ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში - სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი, ხოლო მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ - ცნობა.** დაწესებულების განმარტებით, წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების მაკორექტირებელი ქმედებების გეგმის შესაბამოსად მიმდინარეობს ახალ ვებგვერდზე მუშაობა და მიმდინარე წარმოების ფარგლებში ვებგვერდი საცდელ რეჟიმში იყო. შესაბამისად, უზრუნველყოფილი არაა მარეგულირებელი დოკუმენტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ 1 თვეში განახლებული იქნება ვებგვერდი და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისწავდომი იქნება განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები ქართულ და ინგლისურ ენაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 12 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N16);*
- *დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი;*
- *პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 12 ივლისის სენატის სხდომის ოქმი N16);*
- *პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 28 მაისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13);*
- *2020-2021 სასწავლო წლის პროფესიულ მასწავლებელთა მიერ კონსულტაციების ჩატარების გრაფიკი (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი №18);*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია-პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *ბიბლიოთეკის დებულება (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი №18);*
- *პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების შემოსვლის და მათი აღმოფხვრის რეგისტრაციის ჟურნალი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *20.05.2021 დამტკიცებული მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა;*
- *ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი. პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციები და ამოცანები გაწერილია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფუნქციონალური სტრუქტურის - სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სასწავლებლის შინაგანაწესის, მისიის, ეთიკის კოდექსის, სწავლის და დისციპლინის მოთხოვნების გაცნობას, შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების სასწავლო, საწარმოო, საცურაო პრაქტიკით უზრუნველყოფას, პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობას დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, პროფესიული სტუდენტების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრას და კარიერის სწორად წარმართვა/დაგეგმვას, პროფესიულ სტუდენტთა დახმარებას დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





PDF Eraser Free
კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, პროფესიულ სტუდენტთა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, ექსკურსიების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინაციას, სასწავლო დაწესებულებებთან და სხვა კულტურულ-შემოქმედებით ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, პროფესიული სტუდენტებისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნას, სხვადასხვა პროფესიული სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას, მათ ინფორმირებას და კონსულტირებას, კოორდინირებულ მუშაობას საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან, კარიერული სერვისების განვითარებისათვის სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობას, პროფესიული სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას და კურსდამთავრებულებთან პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობასა და კოორდინირებას, მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოს სასწავლებელსა და მათ შორის ეფექტურ თანამშრომლობას.

პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესის შესაბამისად პროფესიული სტუდენტი განყოფილების წარმომადგენლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუირებისას პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს დაგვიდასტურა, რომ აქტიურად არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ჩართული დაინტერესებულ პირებთან/პროფესიულ სტუდენტებთან ინფორმაციის დროულად მიწოდების უზრუნველყოფაში.

2. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ექსპერტებმა ინტერვიუირების დროს დაადგინეს, რომ დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტებს აქტიურად უჭერს მხარს დაწესებულების ყველა რგოლი. დაწესებულებაში შექმნილია პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, რომლის ფუნქციაა სხვადასხვა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, მათი ინფორმირება და კონსულტირება, სტუდენტებისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლებლის სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით და სპორტულ საქმიანობაში ჩართვაზე ზრუნვა მათი უნარებისა და სურვილის გათვალისწინებით და სხვა.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით დაწესებულებაში შემუშავებულია გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების ფორმატით განხორციელების შემთხვევაში, რათა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეეწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესის თანახმად სასწავლებელში ფუნქციონირებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ინსტიტუტები:

ა) პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა;

ბ) პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება;

გ) პროფესიული განათლების დეპარტამენტი და სასწავლებლის ადმინისტრაცია;

პროფესიულ სტუდენტთა უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება ან პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა უფლებამოსილია მიმართოს სასწავლებლის ადმინისტრაციას იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სტუდენტის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა, მიმართონ უფლებადამრღვევ პირს პროფესიული სტუდენტის უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთისა და დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ან წინადადებით მიმართონ შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება და ადმინისტრაციის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ტექნიკური, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

დაწესებულებაში შექმნილია სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობის მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობის წესი, რომლითაც განისაზღვრება სწავლის საფასურის შეღავათების უფლების მქონე სტუდენტთა კონტიგენტი და შეღავათების კატეგორიები.

4. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი მიზანია „პროფესიული სტუდენტებისთვის ექსკურსიების მოწყობა“ და „პროფესიული სტუდენტებისთვის გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა“. მიზანი უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით და შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფუნქციონალური სტრუქტურის - სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში გაწერილი პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებითა და ამოცანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF EraserFree

5. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. დაწესებულებაში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით, უზრუნველყოფილია სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა მათთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ;
- ინფორმირებისა და სერვისებით კმაყოფილების დონის შესწავლის მიზნით;
- პროფესიულ სტუდენტთა მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებით კმაყოფილების კვლევა;
- პროფესიულ სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენების შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შეფასების შედეგები სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სერვისებით;
- საბიბლიოთეკო სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება;
- პროფესიულ სტუდენთა საკონსულტაციო სერვისებით კმაყოფილების შეფასება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულება ხელმძღვანელობს შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიით. მეთოდოლოგია არეგულირებს კვლევების ჩატარებას და კვლევის შედეგების გაანალიზების პროცესს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი №17; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება №81);*
- *პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 12 ივლისის სენატის სხდომის ოქმი N16);*
- *ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა;*
- *პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების დებულება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);*
- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ, 2021 წლის 28 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13);*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ, 2021 წლის 14 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N14);*
- *სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობის მექანიზმები (2021 წლის 12 ივლისის სენატის დადგენილება, ოქმი N16);*
- *ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში ხელმისაწვდომია კარიერული მხარდაჭერის მომსახურება პროფესიული სტუდენტებისთვის. პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციები და ამოცანები გაწერილია შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფუნქციონალური სტრუქტურის - სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სასწავლებლის შინაგანაწესის, მისიის, ეთიკის კოდექსის, სწავლის და დისციპლინის მოთხოვნების გაცნობას. შპს ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების სასწავლო, საწარმოო, საცურაო პრაქტიკით უზრუნველყოფას, პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობას დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, პროფესიული სტუდენტების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრას და კარიერის სწორად

PDF Eraser Free

წარმართვა/დაგეგმვას, პროფესიულ სტუდენტთა დახმარებას დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას, პროფესიული სტუდენტთა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, ექსკურსიების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინაციას, სასწავლო დაწესებულებებთან და სხვა კულტურულ-შემოქმედებით ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, პროფესიული სტუდენტებისათვის სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნას, სხვადასხვა პროფესიული სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას, მათ ინფორმირებას და კონსულტირებას.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში არსებობს მექანიზმები კარიერული განვითარებისთვის. პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განყოფილების ამოცანაა მოახდინოს სასწავლებლის დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეგისტრაცია და მიაწოდოს მათ ინფორმაცია სხვადასხვა ბიზნესის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ; განყოფილება იძიებს და ამყარებს კავშირებს სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, მსხვილ კომპანიებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. განყოფილება უზრუნველყოფს კოორდინირებულ მუშაობას საერთაშორისო და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან, კარიერული სერვისების განვითარებისათვის სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობას, პროფესიული სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას და კურსდამთავრებულებთან პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობას და კოორდინირებას, მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფს სასწავლებელსა და მათ შორის ეფექტურ თანამშრომლობას. შეიმუშავებს სპეციალური დასაქმების პროგრამებს, მოიძიებს გზებსა და საშუალებებს სტუდენტების სტაჟირებასა და შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით, გასცემს რეკომენდაციებს დასაქმების მსურველ პროფესიულ სტუდენტებზე მათი მონაცემების შესაბამისად.

3. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება პერიოდულად და საჭიროების გათვალისწინებით ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. დაწესებულება ხარისხის მართვის მექანიზმების თანახმად ხელმძღვანელობს რესურსების ხარისხის შეფასებისთვის გამოყენებული სისტემური კვლევების დროის ჩარჩოთი და შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიით. მეთოდოლოგია არეგულირებს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევების ჩატარებას. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებული აქვს კვლევის სხვადასხვა მეთოდი (რაოდენობრივი, თვისებრივი, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა), რომელიც იძლევა პროცესის სიჯანსაღის სხვადასხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კუთხით გაანალიზების საშუალებას; გამოკითხვის ფორმებში და ანალიზში გაწერილია კვლევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან პირი, კვლევის ჩატარების პერიოდი, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკლვეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა ეხება სტუდენტური სერვისების, სასწავლო პროცესის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. კმაყოფილებას პროფესიული სტუდენტის მხრიდან. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს პროფესიული განათლების მასწავლებელის საგანმანათლებლო საქმიანობა. კვლევის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი აფასებს მოდულს, მის მოცულობას, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, სწავლების მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, მასწავლებლის კომპეტენციას, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), ბიბლიოთეკას და ა.შ. და აფიქსირებს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას, ხოლო პროფესიული კურსდამთავრებულთა კვლევა მოიცავს კურსდამთავრებულთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ბუსსს ანრის კმაყოფილების შესწავლას; პროფესიულ კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვებას, დაუსაქმებლობის შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირებას, დასაქმებულ პროფესიულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილების შესწავლას, სასწავლებელში მიღებულ განათლებასა და პროფესიულ კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის გამოვლენას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია, დოკუმენტის მიზანია დაწესებულებამ მოახდინოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება ხარვეზების გამოსწორებისა და შემდეგომი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება გაწერილი პროცესების შედეგად გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტი შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი - ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი, სადაც ნათქვამია, რომ ახალი კორონავირუსით (COVID - 19) გამოწვეულმა შეზღუდვებმა დაწესებულებას ასწავლა დისტანციურად მუშაობა, სასწავლო პროცესების წარმოება, მართვა და მონიტორინგი. აჩვენათ ონლაინ სივრცის ახალი შესაძლებლობები. ამავდროულად უზრუნველყვეს სასწავლო პროცესში ჩასაშენებლი დისტანციური სწავლებისა და გამოცდების პლატფორმა. ახალი პროგრამის პლატფორმაზე გადასვლამდე ტექნიკური სწავლება ჩაუატარეს პედაგოგიურ პერსონალს და სტუდენტებს, ჰქონდათ მუდმივი მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტებთან. ინტერვიუს შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნისათვის დაწესებულებამ უზრუნველყო ლინგაფონის კაბინეტის მოწყობა, რაც დაეხმარება პროფესიულ სტუდენტს ენის გაძლიერებულად შესწავლასა და საზღვაო სფეროში არსებული უცხოენოვანი ლიტერატურის უკეთესად დაძლევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი №17; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება №81);*
- *პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი (შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 2021 წლის 12 ივლისის სენატის სხდომის ოქმი N16);*
- *ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა;*
- *პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების დებულება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);*
- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ, 2021 წლის 28 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N13);*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ, 2021 წლის 14 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N14);*
- *ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. სასწავლებლის მმართველი/ზედა რგოლი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- პარტნიორთა კრება (დამფუძნებელი);

PDF Eraser Free

- სენატი;
- გენერალური დირექტორი;
- ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

**ხოლო, სასწავლებლის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები:**

- **პროფესიული განათლების დეპარტამენტი** - დეპარტამენტის მიზანია მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით;
- **მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი** - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით (STCW, as amended) საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილია სტრუქტურული ერთეულების ძირითადი მიმართულებები, ფუნქციები და სტრუქტურული პირების ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის სამუშაო აღწერილობების გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სტრუქტურაში გამოაჩინოს პროფესიული განათლების მასწავლებლის სტრუქტურული დაქვემდებარება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**2.** ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დოკუმენტში ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ არ ხდება მათი გადაფარვა ან დუბლირება.

სასწავლებლის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:

- **პროფესიული განათლების დეპარტამენტი** - დეპარტამენტის მიზანია მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებით;

**მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი** - მოქმედი და დამწყები მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები „მეზღვაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ", ცვლილებებით (STCW, as amended) საერთაშორისო კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია:

- სასწავლებლის სტრუქტურაში შედის სწავლა/სწავლებისა და წვრთნის პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა, მსმნელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილება;
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
- საფინასო განყოფილება;
- იურიდიული განყოფილება;
- ვახტის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება;
- პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება;
- შესყიდვების და სამეურნეო განყოფილება;
- სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების განყოფილება;
- მცურავი საშუალებები (ს/გ „კაპ.ო. ჩახვაძე“, სამაშველო და სწრაფმავალი კატარღები);
- არქივი;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო პუნქტი;
- საერთო საცხოვრებელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტებმა ინტერვიუირება მოახდინეს თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთან. მათი ფუნქცია-მოვალეობები ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს სამოქმედო გეგმასთან და კვალიფიკციასთან/კომპეტენციასთან მიმართებით.

3. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ჰყავს უფროსი და ხარისხის სპეციალისტი. მათი ფუნქციები გაწერილია გენერალური დირექტორის მეირ დამტკიცებულ ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. ექსპერტთა შეფასებით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რაც ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა შეფასების ინსტრუმენტებში და შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების ნაწილი, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესისა და ვალიდაციის მექანიზმების გათვალისწინებით. **(ბმაშია 2.4.2 ქვესტანდარტთან)**

დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 საერთშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით და გარდა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშებისა, ყოველწლიურად მზადდება ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი, რომელსაც შეიმუშავებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წლიური ანგარიშების საფუძველზე, განიხილავს სენატის სხდომაზე და ამტკიცებს გენერალური დირექტორი. დაწესებულება სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2015 შესაბამისად 2022 წლის 28 აპრილამდე.

გარდა შიდა სტანდარტებისა, ბუსსს ანრის საგანმანათლებლო პროგრამები უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტანდარტებს (IMO), საგანმანათლებლო პროგრამების აგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მეზღვაურთა „წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების" (STCW) საერთაშორისო კონვენციაში მოცემული აუცილებელი კომპეტენციების ნუსხა.

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მიერ წარმოდგენილი **თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობი /გაუმჯობესების) გეგმის შესაბამისად, 4.1.1 კომპონენტი დაწესებულებას შეფასებული აქვს მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან. დაწესებულებაში მიმდინარეობს შიდა ნორმატიული ბაზის განახლება სტრუქტურული ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობების და სამუშაო პირობების შესაბამისად. აქტივობის შესრულების სავარაუდო პერიოდად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 2022**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წლის იანვარი ხოლო აქტივობაზე პასუხისმგებელი პირად - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული კომპონენტის შემსრულებელია ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მენეჯერი, დაფინანსების წყარო გაწერილია შპს ბუსსს ანრის ბიუჯეტით, ხოლო სასწავლებლის განვითარების კონცეფციის შესრულების რისკები და ბარიერები განსაზღვრულია ხელშემშლელი, 5%-იანი შეფასებით.

ექსპერტთა ჯგგუფი ეთანხმება დაწესებულებას და კომპონენტის შეფასებას ტოვებს მეტწილად შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის /გაუმჯობესების) გეგმა (20.07.21);*
- *2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;*
- *დაწესებულების სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; (2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი № 17; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება № 81).*
- *დაწესებულების წესდება;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები; (2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი № 17; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება № 81).*
- *სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები.*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ, 2021 წლის 14 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N14);*
- *ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

**☒ მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში შექმნილია შინაგანაწესი და პერსონალის მართვის დებულება, რომლებიც ვრცელდება დაწესებულების მთელ პერსონალზე. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, რომელთანაც შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 2021 წლის 28 აპრილიდან. **შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის დებულებით გაწერილი პირადი საქმის წარმოების წესით და შესაბამისობაში მოიყვანოს დადგენილ რეგულაციასთან. მოსთხოვოს დასაქმებულს/პოტენციურ თანამშრომელს უცხო ენაზე გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირადი საქმის წარმოების წესში იმპერატიულ მოთხოვნად გაწეროს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის**

PDF Eraser Free

**შესახებ ცნობების წარდგენის აუცილებლობა (გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში).**

ექსპერტებმა შემთხევითი შერჩევის გზით შეამოწმეს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ გაზაირებულია წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობისა და შვებულების მიცემის წესის ნაწილში და ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები. შერჩევითობის პრინციპის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პირადი საქმე და დაადგინა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ფუნქციონალური სტრუქტურა - სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შესაბამობაში არ არის დაკავებულ თანამდებობასთან. კერძოდ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გაწერილია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხარისხის სამსახურის უფროსი კი ამჟამად მაგისტრანტია.

**რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებსა და შრომის შინაგანაწესში დაზუსტდეს დასაქმებულთა სამუშაო დრო, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად და შესაბამისობაში მოვიდეს კვირეულ 40 საათიან**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამუშაო დატვირთვასთან. ასევე, გაიწეროს რეგულაცია შაბათ დღეს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნებისთვის, რაც პრაქტიკულად ხორციელდება დაწესებულებაში და განხორციელდეს შესაბამისი აღრიცხვიანობა.

შპს ბუსსს ანრის მიეცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სტატუსი შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. შრომითი ხელშეკრულების საგანში გაიწეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და პროგრამის შემავალი მოდულები/სწავლის შედეგები (თუკი კონკრეტული მოდულის რომელიმე სწავლის შედეგს კითხულობს). აგრეთვე, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2. დაწესებულების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება მოიცავს შემდეგ პროცესებს და პროცედურებს: პერსონალის მართვის პოლიტიკას, პერსონალის მიღების პროცესს და მომზადებას, გადამზადება/სწავლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, პერსონალის შეფასებას, პერსონალის ატესტაციას, აფილირებას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობას. პერსონალის მართვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დებულებით განერილია მართვის ორგანოებში შერჩევის წესი. დაწესებულების წესდების თანახმად კომპანიის მმართველი რგოლი არის პარტნიორთა კრება და გენერალური დირექტორი.

სასწავლებლის მმართველი/ზედა რგოლი შესაბამისობაშია ბუსსს ანრის საშტატო განრიგთან და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- პარტნიორთა კრება (დამფუძნებელი);
- სენატი;
- გენერალური დირექტორი;
- ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური.

გენერალური დირექტორი არის დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სასწავლებლის ხელმძღვანელობისა, ძირითადად პასუხისმგებელია ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მმართველობაზე და სასწავლებლის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე. ირჩევა ბუსსს ანრის პარტნიორთა კრების მიერ და გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს.

დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარმართავს სამსახურის საქმიანობას სასწავლებლის წესდებისა და სამსახურის დებულების შესაბამისად, კოორდინირებას უწევს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას, ხელმძღვანელობს სამსახურის მოკლე და

PDF Eraser Free

გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას. უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების ფონდის (ორიგინალების) შემუშავებას,აქტუალიზაციას, შენახვასა და მართვას. სამსახური სასწავლებელში წარმართავს მიმდინარე სწავლა/სწავლებისა და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის მართვის საკითებს, რისთვისაც შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მათ დანერგვასა და შეფასებას. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, სამსახური ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სამუშაოთა კოორდინაციას სასწავლებლის ავტორიზაციის პროცესებში. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფს ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობას. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის გენერალური დირექტორი. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიმართ დადგენილია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

გენერალური დირექტორის ბრძანებით თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის ყველა სამსახურის ხელმძღვანელი და თანამშრომელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლებლის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კომპანიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით. პარტნიორთა კრება თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის გენერალურ დირექტორს და მასზე ახდენს სასწავლებლის მართვის დელეგირებას.

სასწავლებლის გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება სასწავლებლის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. გენერალური დირექტორის პოზიცია შესაძლოა დაიკავოს, როგორც სასწავლებლის დამფუძნებელმა, ასევე მოწვეულმა პირმა, რომლის მიმართაც დგინდება შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პერსონალის მართვის დებულების თანახმად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაპირველად დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები - კონკრეტული მოთხოვნები თანხმდება კონკრეტულ სამსახურთან, რომლისთვისაც ვაკანსია უნდა გამოცხადდეს. ვაკანსიის განაცხადის განთავსება ხდება როგორც სასწავლებლის საინფორმაციო სივრცეში (ვებგვერდზე), ასევე დასაქმების გამავრცელებელ სხვა საინფორმაციო გვერდზეც (მაგალითად: www.jobs.ge). კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

- CV-ისა და სამოტივაციო წერილების შერჩევა;
- გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების ადამიანური რესურსი შედგება შემდეგი პერსონალისგან:

I. ადმინისტრაციული;

II. პროფესიული მასწავლებელი;

III. დამხმარე (ტექნიკური) პერსონალი.

პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დაწესებულებასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და დაწესებულების შინაგანაწესის საფუძველზე.

პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს სასწავლებლის ადმინისტრაცია. თანამშრომლის შერჩევა ხდება კანდიდატის კვალიფიკაციის მოთხოვნების, განათლების, წინა სამსახურში მოპოვებული გამოცდილების ან/და გასაუბრების საფუძველზე. პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების მიზნით, სასწავლებელი, როგორც წესი აცხადებს ვაკანსიებს შესაბამის პოზიციებზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალის აყვანა ხდება სასწავლებელთან მათი წარსული თანამშრომლობის საფუძველზეც, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

სასწავლებლის პერსონალის შერჩევა იყოფა კატეგორიებად:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

I. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

II. მოწვეული პროფესიული მასწავლებელი.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოიღოს ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული ბაზის ცოდნის მოთხოვნა და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვის ვალდებულება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცედურებიდან ამოშალოს აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული აქტივობები.

დაწესებულების განმარტებით, წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის თანახმად, მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის ფუნქციონალური მოვალეობების და სამუშაო პირობების ნორმატიული ცვლილებები და შესაბამისობაში მოვა 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის დებულება შემუშავებულია იურიდიული განყოფილების უფროსისა და ადამიანური რესურსების სპეციალისტის მიერ. მართვის ორგანოებში ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში სასწავლებლის გენერალური დირექტორი ქმნის კომისიას, რომელიც გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს მართვის ორგანოებში დანიშვნასთან დაკავშირებით, პოზიციების ფუნქციონალურ მოვალეობაზე დაყრდნობით. დაწესებულებაში არსებობს სტაჟირების ინსტიტუტი, სტაჟიორი შეირჩევა გასაუბრების საფუძველზე კომისიის წინაშე, რომელსაც ამტკიცებს გენერალური დირექტორი და ატესტაციის ჩასატარებლად ბრძანებით ქმნის საატესტაციო კომისიას. ინტერვიუირების შედეგად დაწებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გუნდური მუშაობის პრინციპების გათვალისწინებით ხშირად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, უზიარებენ ერთმანეთს საქმიანობისას წარმოშობილ გამოწვევებს, დაწესებულების განვითარების მიზნებისთვის მიმართვენ სენატს და დღის წესრიგის დადებითად გადაწყვეტილების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მის აღსრულებას. პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პროფესიული უნარების (merit-based), სამართლიანობისა და კონკურენტულობის წახალისების პრინციპებზე. პოლიტიკის მიზანია თანამშრომლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეპოტიზმსა და კლიენტიზმს.

**დაწესებულას მიეცა რეკომენდაცია ყველა რეგულაცია, რომელიც უკავშირდება დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს და ვებგვერდის მეშვეობით ინფორმირებას, საჯაროდ განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე, მათში გათვალისწინებული იყოს არადისკრიმინაციულობის პრინციპებისა დაცვა.**

**წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის თანახმად, ნორმატიული დოკუმენტაციის ცვლილებები დასრულდება 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე.**

**დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის იანვარში დასრულდება აღნიშნული სამუშაოები. ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას და კომპონენტს აფასებენ როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიებული სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები; (2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი № 17; შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება № 81).*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუმჭერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *პერსონალის მართვის დებულება; (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 14 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N14).*
- *შინაგანაწესი; (დამტკიცებულია შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ 2021 წლის 20 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17; გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ივლისის ბრძანება N81);*
- *ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 4.2 პერსონალის განვითარება

### 4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ შემუშავებული და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულება და შესაბამისი მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლებლის თითოეულ დასაქმებულს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. ერთი მხრივ, ის საშუალებას აძლევს სასწავლებელის პერსონალს, შეიმუშაოს სასწავლებლის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ დასაქმებულის საქმიანობის რეგულარულ შეფასებას.

შეფასების პროცესის სუბიექტები არიან:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ბუსსს ანრის ადმინისტრაციული პერსონალი;
- ბუსსს ანრის მოწვეული პერსონალი;
- ბუსსს ანრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- დამხმარე პერსონალი.

დებულების თანახმად, შეფასების სამიზნე ნიშნულებია მოახდინოს სასწავლებლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება, დროულად მოახდინოს პოტენციური სირთულეების განსაზღვრა პერსონალის მიერ პროფესიული მიზნების განხორციელების პროცესში და განსაზღვროს მათი მოგვარების სტრატეგიები, გამოავლინოს სასწავლებლის თანამშრომელთა შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას. შეფასების შედეგად მოხდება პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება.

შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ. შესაბამისი სამსახური/სტრუქტურული ერთეული/თანამდებობის პირი შეფასების შედეგების ანალიზის შემდეგ გეგმავს გასატარებელ ღონისძიებებს. პერსონალის მიმართ, შეფასების ქულებიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოყენებული იქნას კვალიფიკაციის ამაღლების და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები. ექსპერტთა შეფასებით, შეფასების პოლიტიკა შესაბამისობაშია სასწავლებლის დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და ქმნის მისი ეფექტური განხორციელების საფუძველს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად, პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. პერსონალის განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ადამიანური რესურსების სპეციალისტი პერსონალის პირადი მონაცემების (განათლება, კვალიფიკაცია, ტრენინგები,

სემინარები) გადამოწმების შედეგად შეიმუშავეს პერსონალის მომზადება/გადამზადება, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების გეგმას. გეგმის შესაბამისად სასწავლებელი იწვევს შესაბამის სპეციალისტებს ტრენინგების ადგილზე ჩასატარებლად ან აგზავნის პერსონალს სხვადასხვა ტრენინგის გასავლელად სხვა დაწესებულებაში.

ექსპერტთა წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა რელევანტური ყოფილიყო პერსონალის საჭიროებასთან, კომპეტენტური ტრენერების მოწვევის მიზნით.

გენერალური დირექტორის მიერ, სენატის 2021 წლის 20 მაისის სხდომის N12 ოქმის საფუძველზე დამტკიცებულია პსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საავტორიზაციო შეფასების მიზნით, 2021 წლის 2, 4 და 5 მარტს განხორციელებული ვიზიტის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების მაკორექტირებელი ქმედებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
(სტანდარტთან შესაბამისობის/გაუმჯობესების) გეგმა, რომლის ერთ-ერთი აქტივობაა მოდულური სწავლების მეთოდოლოგიის მიმართულებით, დაწესებულების ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორების პროფესიული განვითარების გაძლიერება. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებამ 2021 წლის 14 ივნისს დამტკიცებული ახალი ბიუჯეტის ფარგლებში გამოყო პროფესიული განვითარებისთვის თანხა, რაც რელევანტური აღმოჩნდა პედაგოგიური პერსონალის საჭიროებასთან მიმართებით, კომპეტენტური ტრენერების მოსაწვევად.

გასაუმჯობესებელი კომპონენტის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2021 წლის ნოემბერი, თუმცა 2021 წლის ივნისში უკვე ჩატარდა ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში და ტრენინგი გაიარა ათმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა, ვალიდაციის და ვერიფიკაციის მექანიზმი - ტრენინგი გაიარა 39-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტუდენტთა მოტივაცია - ტრენინგი გაიარა 39-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; "მოდულის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდაცია" - ტრენინგი გაიარა 16-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; ISO 9001:2015 "ხარისხის მენეჯმენტის სისტემები და მოთხოვნები, ძირითადი ცვლილებები - ტრენინგი გაიარა სამმა საშტატო თანამშრომელმა; პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა და მისი უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში - ტრენინგი გაიარა სამმა საშტატო თანამშრომელმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ელექტრონული კატალოგის (Evergreen) ონლაინ ტრენინგი - „თანამედროვე საბიბლიოთეკო სისტემები და ელექტრონული სერვისები - ტრენინგი გაიარა ბიბლიოთეკის სამივე თანამშრომელმა; შეფასების სისტემა და ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში - ტრენინგი გაიარა 22 პროფესიული განათლების მასწავლებელმა და სამმა საშტატო თანამშრომელმა;

სწავლის მეთოდები პროფესიულ განათლებაში - ტრენინგი გაიარა 22-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა; ხარისხის კულტურა საგანამანთლებლო დაწესებულებებში ტრენინგი გაიარა ხუთმა საშტატო თანამშრომელმა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია - ტრენინგი გაიარა ოთხმა საშტატო თანამშრომელმა.

ადამიანური რესურსის განვითარება უზრუნველყოფილია დაწესებულების სტრატეგიული გეგმით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული მექანიზმები მკაფიოდ გაწერილია პერსონალის მართვის დებულებაში და ორგანიზაციის განვითარება უზრუნველყოფილია სტრატეგიული მიზნებით. აგრეთვე გაწერილია მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმად მიმდინარე პროცესის ანალიზი მოიცავს სასწავლებელის თანამშრომლების გამოკითხვას, მათი სასწავლებელში არსებული მართვის სისტემითა და პროცესების გამართულობის ეფექტიანობის შეფასებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. დაწესებულებაში შემუშავებული და გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის დებულების შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ახალი თანამშრომლის მიღებისას ან/და სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას დაწესებულებაში მოხდება პერსონალის სტაჟირების ორგანიზება. გენერალური დირექტორის მიერ პერსონალის მომზადება-გადამზადება, სწავლება და ა.შ. ხდება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც დღის წესრიგში დგას ახალი თანამშრომლის მიღება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა.

5. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სასწავლებლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია უზრუნველყოს სასწავლებლის დასაქმებულების მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავება, გამოავლინოს სასწავლებლის დასაქმებულთა შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ განვითარებას, პოზიციაზე უშუალოდ დასაქმებამდე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული დონის ამაღლების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, დაწესებულებაში უშუალო დასაქმებამდე დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის ბუსსს ანრი უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს საჭირო პირობებს. პერსონალის მიმართ, შეფასების ქულებიდან გამომდინარე, შესაძლოა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოყენებული იქნას კვალიფიკაციის ამაღლების და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებები. წახალისების აუცილებლობა შესაძლოა გამოწვეულ იქნას საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზეც. ექსპერტთა შეფასებით ამ მიზნების შესრულებით დაწესებულება წაახალისებს პერსონალის ინიციატივებს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- *პერსონალის მართვის დებულება; (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 14 ივნისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N14).*
- *ერთწლიანი სამოქმედო და 7 წლიანი სტრატეგიული გეგმები;*
- *ავტორიზაციის სტანარტთან შესაბამისობის გეგმები;*
- *მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N18);*
- *პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; დისტანციური წარმოების განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულბის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. ექსპერტებმა შეისწვლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: დაწესებულებას საკუთრებაში აქვს შენობა-ნაგებობა და ძირითადი აღჭურვილობა, შენობის მესაკუთრეა შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი“. დაწესებულება შემოსავლების სამსახურის ოფიაციალურ ვებგვერდზე რეგისტრირებულია მისამართზე **ქ.ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა N11/4,** ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შემდეგ მისამართზე **ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა N29,** ექსპერტებმა შეისწავლეს საინჟინრო ექსპერტის დასკვნა N002993221 შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, გაცემული 05.05.2021წ.(ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

N29) დასკვნის მიხედვით შენობის კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და შესაძლებელია მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

დაწესებულების მიერ შევსებულია სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება შემდეგი სივრცეების ფლობა: ფოიე, A,B,C სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებლებისთვის, ბიბლიოთეკა, არქივი, წიგნსაცავი და სხვა. ექსპერტებმა შეისწავლეს მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაათვალიერეს პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო რესურსი და შეისწავლეს საკრუინგო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. (დეტალური ინფორმაცია მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის შესახებ იხილეთ მე-2 სტანდარტის შეფასების დროს)

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის; წარმოების დროს ესქპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებული სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ დაათვალიერეს შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, ინსტრუქციის გაცნობა ხდება ყველა თანამშრომლისა და პროფესიული სტუდენტისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; ექსპერტებმა შეისწავლეს ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის შემოწმების აქტი შენობაში სანტექნიკური მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტის თანახმად სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დაწესებულებაში დამაკმაყოფილებელია.

4. ექსპერტთა შეფასებით შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

8. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა **გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა, სწავლის შედეგები და მოდულები შესაბამისობაშია VET.GE-ზე ატვირთულ ჩარჩო-დოკუმენტთან. შემოწმების თარიღი( 29.09.2021) პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მესამე დონეს განეკუთვნება. **რეკომენდირებულია მოხდეს სამოქალაქო განათლების მოდულის ცვლილების ასახვა პროგრამაში.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების მისია;*
- *სტარატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;*
- *2021 წლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“*
- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორი ბრძანება N-81 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;*
- *გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა და მოდულები;*
- *დისტანციური ვიზუალური დათვალიერება;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით **გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია შესაბამისი A, B და C გარემოს არსებობა. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა რომ დაწესებულება არის 6 სართულიანი და პროფესიული პროგრამებისთვის იყენებენ ყველა სართულზე განთავსებულ აუდიტორიებს. აუდიტორიებში არსებობს როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, ყველა აუდიტორიაში იყო განთავსებული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და მასზე ჩართული ელექტრო-მონიტორი პრეზენტაციებისა თუ სალექციო მასალით გათვალისწინებული ინფორმაციის დემონსტრირებისათვის. დაწესებულებაში არის გათბობის სისტემა. **11 A** გარემო გათვალისწინებულია ერთდროულად **280** პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის 10 აუდიტორია არის 24 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, არის აგრეთვე 1 აუდიტორია 40 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებას გააჩნია **2 B** გარემო, სადაც განთავსებულია **18-18** კომპიუტერი. დაწესებულებას ასევე გააჩნია პროგრამისათვის საჭირო C გარემო, შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო აუდიტორია გათვლილი 18 პროფესიულ სტუდენტზე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოთახი, სადაც განთავსებულია პირადი გადარჩენისათვის საჭირო ინვენტარი. დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს გემის მაკეტის სივრცე, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, ხანძართან ბრძოლის, ღუზის ამოღება და ჩაშვება, სამღებრო სამუშაოები.

საწარმოო პრაქტიკა, რომელიც 40 კრედიტს წარმოადგენს და 24 კვირას მოიცავს, სასწავლო გეგმის მიხედვით 39-ე კვირას იწყება და პროგრამის ბოლომდე გრძელდება.

საწარმოო პრაქტიკა ჩარჩო დოკუმენტისა და შესაბამისად მოდულის მიხედვით უნდა ტარდებოდეს რეალურ სამუშაო გარემოში. დამატებით გამოთხოვილი იყო გემების „სოჩი 14" და „ახტიარის" საბუთები. წარმოდგენილი საბუთებიდან ირკვევა, რომ „სოჩი 14" მოხსნილია საქართველოს დროშის რეგისტრაციიდან და დარეგისტრირებულია მოლდოვის რესპუბლიკის დროშით, ასევე მას გააჩნია საკლასიფიკაციო საზოგადოების ვადიანი საბუთები, რომელთა მიხედვით გემზე ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს 125 მგზავრი, თუმცა ამ რაოდენობის სტუდენტების ერთთდროულად საწარმოო პრაქტიკის მოდულის გავლა შეუძლებელი იქნება, ასევე ამ დროისათვის გაუგებარია, როგორ მოხდება გემი „სოჩი 14" გამოყენება პრაქტიკის მიზნებისათვის, რადგან იგი არ იმყოფება საქართველოში, ეს აუცილებლად იქნება დასაზუსტებელი. რაც შეეხება ბუქსირ „ახტიარს", რომელთანაც ასევე სასწავლებელს აქვს დადებული ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად(25 პროფესიულ სტუდენტზე), წარმოდგენილი საბუთების მიხედვით სარეგისტრაციო საბუთებს გაუვიდათ ვადა 2021 წლის 27 იანვარს და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იმყოფება საკლასიფიკაციო საბუთების მომზადებისა დახელახალი რეგიტრაციის რეჟიმში, შესაბამისად ამ ეტაპზე ბუქსირ „ახტიარს“, როგორც საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის კომპონენტს ვერ განვიხილავთ, ასევე შემდგომში დასაზუსტებელი იქნება ბუქსირ „ახტიარზე“ ერთდროულად მყოფი სტუდენთთა რაოდენობა უსაფრთხოების და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, რადგან თუ გემების „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ და „სოჩი 14“ შემთხვევაში მათი ტიპიდან გამომდინარე ეს რაოდენობები წინასწარ განსაზღვრულია საკლასიფიკაციო საზოგადოებების მიერ, ხოლო რადგან ‘ახტიარი“ არი ბუქსირის ტიპის მას წინასწარ არ აქვს რაოდენობა განსაზღვრული, მას აქვს მხოლოდ მინიმალური ეკიპაჟის რაოდენობა. **დაწესებულებას შეუძლია მაქსიმუმ 2 ცვლიანი ჯგუფები შექმნას და ამდაგვარად დაგეგმოს საწარმოო პრაქტიკა.**

**რაც შეეხება სასწავლებლის კუთვნილ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძის“ შესახებ ინფორმაციას, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ამ გემს შეუძლია ჰყავდეს ბორტზე 4 ეკიპაჟის წევრი და 36 სტუდენტი, რაც განსაზღვრულია ყველა შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც გაცემულია საკლასიფიკაციო საზოგადოების და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, მიზანშეწონილია 18 საგემბანე და 18 სამანქანე განყოფილების სტუდენტის აყვანა გემზე.**

პრაქტიკის ორგანიზებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს სტრუქტურული ერთეული პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება. განყოფილების მოვალეობები გაწერილია სპეციალურ დებულებაში, რომლითაც განსაზღვრულია, რომ განყოფილება უნდა ახორციელებდეს სტუდენტთა საწარმოო, სასწავლო საცურაო პრაქტიკით უზრუნველყოფას, მხარდაჭერას დასაქმების კუთხით, გაცნობას შრომის ბაზრის დინამიკასთან მიმართებით, სპორტულ, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვას და ხელშეწყობას დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამით

PDF Eraser Free

გათვალისწინებული აუცილებელი სახარჯი მასალის აღრიცხვის სია, სადაც მითითებულია არსებული რაოდენობები.**დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამით გათვალისწინებული 40 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის განახორციელოს საკუთარ მფლობელობაში არსებული გემის „კაპიტანი ო. ჩახვაძთან“ ერთად მოიძიოს ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები.**

**დისტანციური ვიზიტის დროს დაწესებულებისგან ექსპერტებმა დამატებით მიიღეს წერილი შპს LMNT-ს გენერალური დირექტორისგან, იმის შესახებ, რომ ბუქსირ „ახტიარზე“ მიმდინარეობს სარეგისტრაციო დოკუმენტების განახლების პროცესი, რომელიც დასრულების პროცესშია. წერილს თან ერთვის დანართი - საკლასიფიკაციო საზოგადოების დირექტორის ცნობა, რომ ბუქსირ „ახტიარის“ დოკუმენტების შემოწმების დასრულება მოხდება 11.10.2021.**

**დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმად 2021 წლის 29 ნოემბერს დასრულებული იქნება შემდეგი აქტივობები:**

**დაზუსტდება ბუქსირ „ახტიარზე“ ერთდროულად მყოფი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა უსაფრთხოების და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით; გადამოწმდება პრაქტიკის ობიექტის ლიცენზიის ვადა; განახლდება პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება; ხელშეკრულებაში დაკონკრეტდება პროფესიული პროგრამის დასახელება, პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკის ობიექტი: ხელშეკრულებებში დაკონკრეტდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება და შემავალი მოდულ(ებ)ი/სწავლის შედეგები, რომლებიც მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.

2. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად 1 მასწავლებელზე განსაზღვრულია 20 სუდენტი. **ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ 313 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული, მათ შორის 153-ს გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამაზე.**
მასწავლებლის დატვირთვა კი განსაზღვრულია 40 საათით კვირის განმავლობაში. **გემბანის ექსპლუატაციის** პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 განმახორციელებელი პერსონალი, რაც საკმარისია ზღვრული რაოდენობით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტებისთვის. **რეკომენდირებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას (წარმოდგენილი ხელშეკრულებები 2021 წლის აპრილშია გაფორმებული 18 თვით, პროგრამის ხანგრძლივობა 15 თვეა).**
3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები, სადაც ერთ-ერთ მოთხოვნად განსაზღვრული აქვს მეზღვაურის პროფესიული გამოცდილება. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებლებიდან შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა რამოდენიმე პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმე. ერთ-ერთ პროფესიულ მასწავლებელსგააჩნია გემთწამყვანის კვალიფიკაცია და საზღვაო გამოცდილება როგორც კაპიტანის, ხოლო მეორეს, როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

გემის მექანიკოსის კვალიფიკაცია და გემის სავახტო თანაშემწის. ზოგადი მოდულების განმახორციელებლებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია. მათ აქვთ პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება, თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ მასწავლებლებს ესაჭიროებათ ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და ასევე, შეფასების სისტემის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც მათთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გამოყოფილია 90000 ლარი. ექპეტრთა შეფასებით ეს თანხა საკმარისია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის წლის განმავლობაში.

4. ექსპერტთა შეფასებით გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამის ხელმძღვანელს გაჩნია ბაკალავრის ხარისხი გემთწამყვანის სპეციალობაში და შესაბამისად გააჩნია დარგობრივი კომპტენცია. მას ასევე გააჩნია სავახტო თანაშემწის კომპეტენციის სერტიფიკატი და საზღვაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელები გაცნობილები არიან უფლება-მოვალეობებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტზე - ფუნქციონალურ მავალეობებზე მათი ხელმოწერით.

5. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში **გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკის მარეგულირებელი დოკუმენტი. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონულ ბაზებზე წვდომა EVEGreen და EBSCO. ბიბლიოთეკას ემსახურება 2 თანამშრომელი, სამუშაო საათები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დადგენილია ორშაბათი-შაბათი 10-20 საათამდე, 5-5 საათიანი სამუშაო დატვირთვით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და მის სივრცეში მუშაობა ერთდროულად შეუძლია დაახლოებით 15 პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულებას აქვს ცალკე გამოყოფილი წიგნსაცავი. გასულ წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 65 წიგნით. მიმდინარე წარმოების დროს მოხდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის გამოთხოვა შემოწმების მიზნით. მოთხოვნილი ლიტერატურა წარმოადგინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა.

6. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფილია სსსმ პირებისათვის. დაწესებულებაში არის ლიფტი, პანდუსი, არსებობს 1 ადაპტირებული სველი წერტილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე **გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამის** დაშვების წინაპირობა ითხოვს შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობას და ამიტომ აღნიშნულ პროგრამაზე დადგენილი ჯანმრთელობის სტანდარტის დაკმაყოფილების გარეშე პირები არ დაიშვებიან.

7. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში (2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი)ასახულია, როგორც მთლიანი დაწესებულების ფინანსური აღრიცხვა, ასევე ცალკეული პროგრამების.

წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს აქტიური სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავალს, მათ შორის სახელმწიფო დაფინანსებას, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია მხოლოდ მასწავლებლებზე გაწეული ხარჯები, პროგრამის სხვა ხარჯების გათვალისწინება ხდება საერთო ბიუჯეტში, თუმცა საერთო ბიუჯეტში ნათლად არ ჩანს კონკრეტულად პროფესიულ განათლების ხელშეწყობისა და წარმართვისათვის რა ხარჯებია გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. დაწესებულებას წინა ადმინისტრაციული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმოების დროს ჰქონდა რეკომენდაცია ნათლად ყოფილიყო გაწერილი პროგრამის რეალური ბიუჯეტი, რომ უფრო მარტივად ყოფილიყო მოსახერხებელი პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმაში რეკომენდაციის შესრულების ვადად დადგენილია 30.01.2022, რადგანაც ანგარიშების დახურვა ხორციელდება ყოველი მომდევნო წლის 15 იანვარს, სადაც იქნება მკაფიოდ გაწერილი ყველა ოპერაცია და ბიუჯეტის ათვისება მუხლების მიხედვით. **რეკომენდირებულია, დაწესებულებამ 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის მომზადების დროს გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული და ისე გაწეროს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების ბიუჯეტი/პროგრამის ბიუჯეტი;*
- *მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა;*
- *ფუნქციონალური მოვალეობები;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *ხელშეკრულებები საკრუინგო კომპანიებთან, ნავსადგურთან, სოჩი14-ის მფლობელთან;*
- *დამტკიცებული პერონალის ტრენინგ-გეგმა*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, დარგის ექსპერტების ფოკუს-ჯგუფებს. დებულების მიხედვით განსაზღვრულია, რომ დამსაქმებელთა მიერ შეფასებას დაწესებულება 2 წელიწადში ერთხელ ატარებს. შეფასების საფუძველზე მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს და წარადგენს ხელმძღვანელობის შემაჯამებელ ანალიზზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია სასწავლებელმა განახორციელოს პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუმაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე შიდა და გარე კვლევები, რათა მან შეძლოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება/ანალიზი, არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის და შემდგომი საქმიანობის ეფქტურად დაგეგმვისთვის. **რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს მეთოდოლოგიის დასახელებას, რადგანაც მას „შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია“ ეწოდება, თუმცა შინაარსობრივად მოიცავს საკითხებს შიდა და გარე კვლევებთან მიმართებით.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დებულება, სადაც ასახულია დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების შეფასებისა და განვითარების ხარისხის მექანიზმებით უზრუნველყოფა. გამოყოფილია დაწესებულების 4 ძირითადი მიმართულება რომელზეც ვრცელდება ხარისხის შეფასების სისტემა: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების შეფასება; სასწავლებლის რესურსების შეფასება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება; სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება.

დებულების მიხედვით განსაზღვრულია როგორც შიდა მექანიზმების ორგანიზებისა და უზრუნველყოფის პროცესები ასევე არსებული და გამოყენებული გარე მექანიზმები. როგორც დებულებაშია აღნიშნული დაწესებულება იყენებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას როგორც პროგრამებთან მიმართებაში ასევე მასწავლებლების შეფასებას, და დაწესებულების სხვა აქტივობებთან მიმართებით. დოკუმენტში გაწერილია გეგმა თუ რომელი კვლევის ჩატარება რომელ თვეში არის დაგეგმილი.

დაწესებულება ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს ხელმძღვანელობასთან, სადაც განიხილავს ჩატარებული შეფასების ანალიზს. გარდა ხარისხის მართვის სისტემის ანგარიშისა, დაწესებულება შეიმუშავებს ხარისხის მართვის სისტემის ანალიზს, რომელიც შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულებისაგან მიწოდებული მონაცემების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური, პერიოდული და საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევების შედეგად გამოკვეთს გასაუმჯობესებელ საკითხებს და გასცემს რეკომენდაციებს, შემდეგ კი აკვირდება შედეგებს და ხარისხის განვითარების ციკლი ხელახლა იწყება.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, გარდა შიდა შეფასებების/კვლევების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ რეკომენდაციების გაცემისა, სასწავლებელი ასევე იყენებს გარე მარეგულირებლების მიერ ჩატარებულ შეფასებას.

დაწესებულებამ პანდემიიდან გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე თავისი პროგრამები განახორციელა დისტანციურად. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ჩაატარა სტუდენტების გამოკითხვა და გააკეთა ანალიზი თუ სტუდენტთა რა რაოდენობას აქვს უპრობლემო წვდომა ინტერნეტთან და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან. გამოკითხული სტუდენტების უმარავლესობა კმაყოფილი იყო მიწოდებული დისტანციური სწავლებით. სტუდენტებს რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტის პრობლემა დაწესებულებამ შესთავაზა თავისი ინფრასტრუქტურა, აღნიშნულს იყენებდა დაახლოებით 15 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების გამოვლენის და მართვის პროცედურა. პროცედურის შესაბამისად იდენტიფიცირებული შეუსაბამობა უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ჟურნალში (რომელიც შეიძლება იყოს როგორც მყარი ასევე ელექტრონული სახით).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მაკორექტირებელი გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას 2.3 კომპონენტი მეტწილად აქვს შეფასებული. დაწესებულება გეგმავს ჩატარდეს კვლევა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა სტატისტიკის, დამსაქმებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების და გამოხმაურებების გათვალისწინებით. განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პირობებით, სასწავლო პროცესით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლების ხარისხით, სტუდენტური სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა შესაბამისი გამოკითხვების საშუალებით. ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას და აღნიშნულ კომპონენტებს აფასებენ, როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N81-თ პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება"*
- *ინტერვიუს შედეგები;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებამ წარმოადგინა **გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროგრამისათვის შემუშავებული სასწავლო გეგმა, რომელიც ფარავს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა მოდულს.გადანაწილებული საათებით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ასევე დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა კონკრეტული მოდულისთვის შედგენილი სასწავლო გეგმა, რომელშიც წრმოდგენილია კონკრეტული კვირების მიხედვით დაგეგმილი სალექციო თუ პრაქტიკული მეცადინეობები შესაბამისი სწავლის შედეგებისა და საათების მითითებით.

აღსანიშნავია, რომ პანდემიიდან გამოწვეული დაბრკოლებების გამო დაწესებულებამ შეაჩერა პროფესიული სწავლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელა ის მოდულები, რომლებიც არ საჭიროებდნენ წინა პირობის არსებობას, შესაბამისად გასული წლის განმავლობაში დაწესებულებამ ვერ განახორციელა სასწავლო პროცესი გაწერილი სასწავლო გეგმის მიხედვით. როგორც დამატებით მოწოდებული დოკუმენტებით ირკვევა დაწესებულებამ დისტანციური სწავლებით განხორციელდა 7 მოდული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და ითვალისწინებს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის პროცესში. პანდემიით გამოწვეული სირთულეების დროს დაწესებულებამ შექმნა ელექტრონული პლატფორმა, რათა ეფექტურად გაეხორციელებინა დისტანციუდ სწავლება. ასევე დაწესებულებამ გაითვალისწინა სტუდენტების მიერ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა და შესთავაზა თავისი ინფრასტრუქტურა სწავლებაში ჩართვის მიზნით. დაწესებულება ასევე სტუდენტებს სთავაზობს საშეღავათო გადახდის მექანიზმებს სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

3. ექსპერტთა მიერ დაწესებულების დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ ყველა სასწავლო ოთახში დამონტაჟებულია ელექტრო-მონიტორები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რომელიც აძლევს მასწავლებელს საშუალებას წარმოადგინოს პრეზენტაციები თუ საჩვენებელი ვიდეო მასალა. დაწესებულებას ასევე გააჩნია სიმულატორები პროფესიულ სტუდენტებისთვის.

4. დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესი და მეთოდები საჭიროების შეთხვევაში.ექსპერტთა შეფასებით **რეკომენდირებულია დაწესებულება ასევე მობილობის შემთხვევაში ითვალისწინებდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებას.**

5. ჩაჩრო დოკუმენტის საწარმოო პრაქტიკის მოდულში განსაზღვრულია, რომ სამუშაოს შეფასებისათვის აუცილებელია გემის კაპიტნის მიერ გაცემული დახასიათება საწარმოო პრაქტიკის გავლისას გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესახებ. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ საკრუინგო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

კომპანიასთან 15.07.2021 გაფორმებულ ხელშეკრულებაში, როგორც მეორე მხარის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პრაქტიკის „ახტიარ"-ის კაპიტნის მიერ შეფასებასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულია მოდულით.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც გაცხადებული აქვს რომ ხელმძღვანელობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს როგორც სტუდენტთა ასევე თანამშრომელთა უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში. დაწესებულებას ჰყავს უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი, რომლის ვალდებულებაა უზრუნველყოს წესრიგი სასწვლებლის ტერიტორიაზე. მას ევალება ასევე სახნძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლის გამართული სისტემის არსებობა და შესაბამისი წვრთნის ჩატარება დაწესებულების თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის.

შენობის პირველი სართულის ფოიე, შენობის წინა მხარის შიდა და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო-მონიტორინგით. ვიდეო-მონიტორინგის ჩანაწერები ინახება 5-7 დღემდე. შენობის სხვა სართულებზე და უკანა ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ვიდეო-მონიტორინგი.

საგანმანანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით დაწესებულების პირველ სართულზე მოწყობილ C გარემოში ხორციელდება პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი, შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო აუდიტორია გათვლილია 18 პროფესიულ სტუდენტზე, მოწყობილია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოთახი, სადაც განთავსებულია პირადი გადარჩენისათვის საჭირო ინვენტარი. ექსპერტთა შეფასებით პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ მოსასვენებელ გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N81-თ პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“*
- *კალენდარული დატვირთვის გეგმა;*
- *ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის წარმომადგენლებთან;*
- *ინტერვიუს შედეგები .*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას პროგრამაში განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. შეფასება შეიძლება იყოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

შეფასების თითოეული ინსტრუმენტისთვის (ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, პრაქიკული დავალების შესრულება...) დამტკიცებული აქვს შესაბამისი ფორმა სადაც ხდება შეფასების შედეგების ასახვა თითოეული სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ დისტანციური ვიზისტისას ინტერვიუს დროს როგორც მასწავლებლებმა, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა და თავად სტუდენტებმა განაცხადეს რომ პანდემიიდან გამომდინარე ჯერ არ მომხდარა არც ერთი მოდულის შედეგების შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზე განსაზღვრავს პროფესიული პროგრამებისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ვერიფიკაციის ორ ტიპს შიდა და გარე ვერიფიკაციას და ასევე შეფასების ინსტრუმენტებს. იმისათვის, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, დაწესებულებამ სასურველია დაიცვას ვერიფიკაციის მექანიზმი და უზრუნველყოს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამასთან, შეფასების ინსტრუმენტში დადასტურებული იყოს დავალების შემსრულებელი პირის (პროფესიული სტუდენტის) ხელმოწერის ავთენტურობა.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები იქნება აღრიცხული და შენახული მინიმუმ 3 წლის ვადით, როგორც ამას ითხოვს სტანდარტი.

4. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი. წესის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის ასევე ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

**მაკორექტირებელი გეგმის შესაბამისად დაწესებულებას 2.4 კომპონენტი შეფასებული აქვს მეტწილად. დაწესებულება გეგმავს: 1) სასწავლო გეგმებისა და კალენდარული გეგმების ადაპტირებას; 2) შეფასების პროცესში მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უზრუნველყოფას; 3) შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის დაგეგმვასა და მართვაა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**სასწავლო პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში; 4) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციის უზრუნველყოფას; 5) ვერიფიკაციის პროცესის სანდოობის უზრუნველყოფაა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გზით; 6) ვერიფიკაციის განხორციელების წესისა და პერიოდულობის დადგენას; ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულებას და კომპონენტს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N 81-თ პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *შეფასების უწყისები;*
- *კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;*
- *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

**ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒**

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | **144 პროფესიული სტუდენტი, ქ.ბათუმი შ.ინასარიძის ქ.N 29, მოდულური** |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | ------------------ |

**დასაბუთება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის საბაზო პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს 40 კრედიტიან საწარმოო პრაქტიკას 24 კვრიანი ხანგძლივობით, რომელიც უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში, რაც გულისხმობს გემზე პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფას. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის ანრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული შეფასების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას **200** პროფესიულ სტუდენტზე, რადგან ხელშეკრულებით წარმოდგენილ, მხოლოდ ორ გემს „კაპიტან ო. ჩახვაძეს" და „სოჩი 14" გააჩნია შესაბამისი საბუთბი და ამ ორი გემიდან „სოჩი 14" არ იმყოფება საქართველოში და გაუგებარია როგორ გამოიყენებს მას სასწავლებელი, როგორც პრაქტიკის კომპონენტს, ხოლო ბუქსირ „ახტიარს"არ გააჩნია ვადიანი სარეგისტრაციო საბუთები. ამიტომ სანამ დაწესებულება არ მოაგვარებს აღნიშნულ საკითხებს „სოჩი 14"-ზე და ბუქსირ „ახტიარზე"პროფესიულ სტუდენტთა განთავსება და წვრთნა ვერ მოხერხდება. პროფესიულ სტუდენტთა განთავსება და წვრთნა ამჯერად შესაძლებელია მხოლოდ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძეზე", რომელზეც შესაძლებელია ერთდროულად 36 პროფესიული სტუდენტის ყოფნა. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტი ყოველ დღე 6 საათის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს გემზე და ეუფლებოდეს პროფესიასთან დაკავშირებულ უნარებს, რადგან საბოლოოდ მასზე უნდა გაიცეს ნაოსნობის სტაჟი, რაც არის საფუძველი მისი შემდგომი პროფესიული ნიშნით სერტიფიცირებისა. ნაოსნობის სტაჟი კი კანონმდებლობის შესაბამისად არის გემზე გატარებული პერიოდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულებას შეუძლია 6 საათიანი განრიგით ოთხ ცვლაში განათავსოს აღნიშნულ გემზე ოთხი ჯგუფი, რაც საერთო ჯამში **144** პროფესიულ სტუდენტს მოიაზრებს ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. პროფესიულ პროგრამებზე მიღება წელიწადში ერთხელაა, როცა პირველი მიღების პროფესიული სტუდენტები პრაქტიკაზე წავლენ მეორე მიღების პროფესიული სტუდენტები კოლეჯში იქნებიან. აუდიტორიები(A, B,C გარემო) გაატარებს ორივე პროგრამისთვის ერთდროულად 144 სტუდენტს.

**ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტების შეფასებით დაწესებულებას შეუძლია მიიღოს 144 პროფესიული სტუდენტი გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის საბაზო პროფესიულ პროგრამაზე.**

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 - სატრანსპორტო მომსახურეობები |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | **ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქუჩა N29,** |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 200 სტუდენტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 106 |

**X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

*გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☒ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | **სრული 3** | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | **მეტწილი 2** | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრავს პროფესიული განათლების როლსა და ადგილს, სადაც გაცხადებულია რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

პროფესიულ განათლებას, რომელიც განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და

პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნით და ავითარებს საკუთარ პოტენციალს. დაწესებულებას 2021-2027 წლებისათვის შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩამოყალიბებულია 7 სტრატეგიული მიზანი, დაწესებულებას შემუშავებული აქვთ 2021 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც უკვე არის ცალკე დაგეგმილი აქტივობები შვიდივე მიზანის მისაღწევად - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება, განათლების და წვრთნის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება, პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა, ორგანიზაციული განვითარება, პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით და მეზღვაურთა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება.

სასწავლებელს **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის** განხორციელების დასაბუთება აღწერილი აქვს პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში, სადაც აღნიშნული აქვს, რომ პროგრამის შემუშავების დასაბუთების საფუძველია სასწავლებლის სპეციფიკა, ადამიანური რესურსი, დასაქმების ბაზრის კვლევა, მატერიალური რესურსი, საცურაო პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობა. როგორც დებულება განსაზღვრავს დასაქმების შეფასებას დაწესებულება ახორციელებს კურსდამთავრებულთა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სერტიფიცირების მაჩვენებლით, რაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free
წარმოადგენს 80-85 პროცენტს, ამასთან დაწესებულების მიერ ჩატარებულ კურსდანთავრებულთა კვლევაში აღნიშნულია რომ პროფესიით დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 41 %. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სერტიფიცირება არ არის პირდაპირი განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა პირი დასაქმდება თუ არა შემდგომ, **ამიტომ სასურველია დაწესებულებამ დასაქმების მაჩვენებლის შეფასებისა და ანალიზისთვის სხვა მექანიზმებიც შეიმუშავოს, მაგალითად კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და უკუკავშირი, რაც თავის მხრივ უფრო გაამყარებს პროგრამის განხორციელების დასაბუთებას.**

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბებულია მარეგულირებელ დოკუმენტში „პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ (აღნიშნული დებულების ტექსტში ხშირად გვხდება ტერმინი - კოლეჯი, რომელიც უნდა შეიცვალოს ტერმინით - შპს ბუსსს ანრი(სასწავლებელი)), სადაც იგი არ შეესაბამება საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სტანდარტში მოცემულ დაშვების წინაპირობას - საბაზო განათლება; „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება). - ასევე პროგრამაში **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** დაშვების წინაპირობიდან ამოსაღებია პუნქტი - ასაკი - 16 წელი.

**უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნილ დოკუმეტთა სიაში მითითებულია საშუალო ატესტატი სრული ზოგადი/საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი განათლების, რაც არ შეესაბამება საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სტანდარტში მოცემულ დაშვების წინაპირობას. დაწესებულებას ეძლევა**

PDF Eraser Free

**რეკომენდაცია სტუდენტთან დადებულ ხელშეკრულებებში სწორად ჩამოაყალიბოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, დაშვების წინა-პირობები და მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში**

3.დაწესებულებას მარეგულირებელი დოკუმენტით შემუშავებული აქვს სტუდენტის რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორები, როგორიცაა ფართი.არსებული რესურსების გათვალისწინებით (ფართი, ლექტორ-მასწავლებლები....) დაწესებულებას გათვილილი აქვს რომ შეუძლია მიიღოს პროფესიულ მოდულურ პროგრამაზე ერთ მიღებაზე საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაზე 100 სტუდენტი, ხოლო 2 მიღებაზე 200 სტუდენტის მიღება. დოკუმენტში დაწესებულებას შეფასებული აქვს პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო A, B, C გარემოს აუდიტორიების არსებობა საგემბანე ექსპლუატაციის პროგრამისათვის. რომლის თანახმად A გარემოს საერთო ფართად ნაანგარიშები აქვს - 372 კვ.მ. დოკუმენტი ითვალისწინებს ასევე განმახორციელებელი პერსონალის რესურსს პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დადგენისათვის, სადაც განსაზღვრულია რომ 2 ცვლიან სწავლის პირობებში პერსონალის დატვირთვა არ აღემატება - 40 საათს. **პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად გაივლიან საწარმოო პრაქტიკას (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 200 პროფესიული სტუდენტი) გემებზე „სოჩი 14“, „ახტიარი“,„კაპიტანი ო. ჩახვაძე“ კონკრეტულად რა პერიოდის განმავლობაში განხორციელდება, <u>არ არის თვლადი.</u> ვინაიდან საწარმოო პრაქტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროგრამის განხორციელებისათვის (40კრ.) აუცილებელია ზუსტად იქნას დათვლილი პრაქტიკის ობიექტის (გემების) გამტარიანობა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისა და შეფასების დროს.(იხ.ქვესტანდარტი2.2)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას გააჩნია პროგრამით მოთხოვნილი რესურსი, მათ შორის A,B, C გარემოს აუდიტორიები, ადამიანური რესურსი და ასევე მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; აღნიშნული რესურსების დეტალური შეფასება მოცემულია 2.2.1 ქვესტანდარტის აღწერაში.

5. ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულების პროგრამაში დამატებას, , ჯამურად არის 91, კრედიტი რომელთაგან ზოგადი მოდულები - 16 კრედიტის მოცულობითაა, პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 71 კრედიტის მოცულობით, ხოლო არჩევითი მოდული 4 კრედიტია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულება არჩევით მოდულებად სთავაზობს რუსულ ენას. ინტერვიუს დროს როგორც აღნიშნეს პროგრამის განმახორციელებლებმა, რუსული ენა არის ერთ-ერთი საზღვაო ენა, გარდა ამისა რუსულ-ენოვანი ეკიპაჟი არის ბევრი კომპანიების გემებზე, ამიტომ რუსული ენის ცოდნა სტუდენტს დაეხმარება გემზე ეფექტური კომუნიკაციისათვის. ასევე აღნიშნეს რომ რუსული ენის ცოდნაზე მოთხოვნა დაფიქსირდა სხვადასხვა კომპანიების მიერ, რაც შესაბამისად გაითვალისწინეს არჩევიუთი მოდულის განსაზღვრისას. არჩევით მოდულზე განსაზღვრულია 4 კრედიტი, რაც არ წარმოადგენს მთლიანი კრედიტების 20 %-ზე მეტს და შესაბამისად არ ეწინააღმდეგება ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნას. **მიუხედავად იმისა, რომ რუსულენოვანი გემები და ეკიპაჟები და ლიტერატურა ჯერ კიდევ მრავლადაა, რუსული ენა წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ფორუმებზე ერთ-ერთ სამუსაო ენას დარგის ექსპერტი ბოლომდე არ ეთანხმება სასწავლებლის ამ პოზიციას და იძლევა რეკომენდაციას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**ინგლისური ენის შესწავლას, რაც უმთავრესი ხელშემწყობი პირობაა კურსდამთავრებულეთა საერთაშორისო საზღვაო შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის, რადგან ინგლისური ენა წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ენას.**

6. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამა **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** დამტკიცებულია დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება ხდება სენატზე წარდგენისა და განხილვის შემდგომ დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. გემის **სამანქანე** ექსპლუატაციის პროგრამის დამტკიცება მოხდა 2020 წლის N81 ბრძანებით.

7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის სახელწოდება **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** სრულად თანხვედრაშია ჩარჩო-დოკუმენტთან წარმოდგენილ დასახელებასთან, რაც თავის მხრივ შეესაბამება პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს.

8. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა, სწავლის შედეგები და მოდულები შესაბამისობაშია VET.GE-ზე ატვირთულ ჩარჩო-დოკუმენტთან. შემოწმების თარიღი( 29.09.2021) პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მესამე დონეს განეკუთვნება. **რეკომენდირებულია მოხდეს სამოქალაქო განათლების მოდულის ცვლილების ასახვა პროგრამაში.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების მისია;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

- *სტარატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;*
- *2021 წლის 1 წლიანი სამოქმედო გეგემა;*
- *თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის/გაუმჯობესების) გეგმა,;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“*
- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორი ბრძანება N81 მოდულური პროგრამის დამტკიცების შესახებ;*
- *გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამა და მოდულები*
- *დისტანციური ვიზუალური დათვალიერება;*
- *ინტერვიუს შედეგები;*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

1. ექსპერტთა შეფასებით **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია შესაბამისი A, B და C გარემოს არსებობა. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა რომ  დაწესებულება არის 6 სართულიანი და პროფესიული პროგრამებისთვის იყენებენ ყველა სართულზე განთავსებულ აუდიტორიებს. აუდიტორიებში არსებობს როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, ყველა აუდიტორიაში იყო განთავსებული ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და მასზე ჩართული ელექტრო-მონიტორი პრეზენტაციებისა თუ სალექციო მასალით გათვალისწინებული ინფორმაციის დემონსტრირებისათვის. დაწესებულებაში არის გათბობის სისტემა. **11 A** გარემო გათვალისწინებულია ერთდროულად **280** პროფესიული სტუდენტისთვის,(ორივე პროგრამისათვის ერთიდაიგივე აუდიტორიებს იყენებენ) მათ შორის 10 აუდიტორია  არის 24 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, არის აგრეთვე 1 აუდიტორია 40 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

დაწესებულებას გააჩნია **2 B** გარემო, სადაც განთავსებულია **18-18** კომპიუტერი. B გარემოს აუდიტორია გამოიყენება პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულებას ასევე გააჩნია პროგრამისათვის საჭირო C გარემო, შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო აუდიტორია გათვლილი 18 პროფესიულ სტუდენტზე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოთახი, სადაც განთავსებულია პირადი გადარჩენისათვის საჭირო ინვენტარი. დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს გემის მაკეტის სივრცე, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, ხანძართან ბრძოლის, ღუზის ამოღება და ჩაშვება, სამღებრო სამუშაოები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

საწარმოო პრაქტიკა, რომელიც 40 კრედიტს წარმოადგენს და 24 კვირას მოიცავს, სასწავლო გეგმის მიხედვით 35-ე კვირას იწყება და ბოლომდე გრძელდება.

საწარმოო პრაქტიკა ჩარჩო დოკუმენტისა და შესაბამისად მოდულის მიხედვით უნდა ტარდებოდეს რეალურ სამუშაო გარემოში. დამატებით გამოთხოვილი იყო გემების „სოჩი 14“ და „ახტიარის“ საბუთები. წარმოდგენილი საბუთებიდან ირკვევა, რომ „სოჩი 14“ მოხსნილია საქართველოს დროშის რეგისტრაციიდან და დარეგისტრირებულია მოლდოვის რესპუბლიკის დროშით, ასევე მას გააჩნია საკლასიფიკაციო საზოგჰადოების ვადიანი საბუთები, რომელთა მიხედვით გემზე ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს 125 მგზავრი, თუმცა ამ რაოდენობის სტუდენტების ერთთდროულად საწარმოო პრაქტიკის მოდულის გავლა შეუძლებელი იქნება, ასევე ამ დროისათვის გაუგებარია, როგორ მოხდება გემი „სოჩი 14“ გამოყენება პრაქტიკის მიზნებისათვის, რადგან იგი არ იმყოფება საქართველოში, ეს აუცილებლად იქნება დასაზუსტებელი. რაც შეეხება ბუქსირ „ახტიარს“, რომელთანაც ასევე სასწავლებელს აქვს დადებული ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად (25 პროფესიულ სტუდენტზე), წარმოდგენილი საბუთების მიხედვით სარეგისტრაციო საბუთებს გაუვიდათ ვადა 2021 წლის 27 იანვარს და იმყოფება საკლასიფიკაციო საბუთების მომზადებისა დახელახალი რეგიტრაციის რეჟიმში, შესაბამისად ამ ეტაპზე ბუქსირ „ახტიარს“, როგორც საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის კომპონენტს ვერ განვიხილავთ, ასევე შემდგომში დასაზუსტებელი იქნება ბუქსირ „ახტიარზე“ ერთდროულად მყოფი სტუდენთთა რაოდენობა უსაფრთხოების და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, რადგან თუ გემების „კაპიტანი ო. ჩახვაძე“ და „სოჩი 14“ შემტხვევაში მათი ტიპიდან გამომდინარე ეს რაოდენობები წინასწარ განსაზღვრულია საკლასიფიკაციო საზოგადოებების მიერ, “ახტიარი“ არი ბუქსირის ტიპის გემი და მას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წინასწარ არ აქვს რაოდენობა განსაზღვრული, მას აქვს მხოლოდ მინიმალური ეკიპაჟის რაოდენობა. **დაწესებულებას შეუძლია მაქსიმუმ 2 ცვლიანი ჯგუფები შექმნას და ამდაგვარად დაგეგმოს საწარმოო პრაქტიკა.**

**რაც შეეხება სასწავლებლის კუთვნილ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძიეს" შესახებ ინფორმაცია, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ამ გემს შეუძლია ჰყავდეს ბორტზე 4 ეკიპაჟის წევრი და 36 სტუდენტი, რაც განსაზღვრულია ყველა შესაბამისი დოკუმენტით, რომელიც გაცემულია საკლასიფიკაციო საზოგადოების და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, მიზანშეწონილია 18 საგემბანე და 18 სამანქანე განყოფილების სტუდენტის აყვანა გემზე.**

პრაქტიკის ორგანიზებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს სტრუქტურული ერთეული პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი და პრორექტორის დაქვემდებარების ქვეშაა. განყოფილების მოვალეობები გაწერილია სპეციალურ დებულებაში, რომლითაც განსაზღვრულია, რომ განყოფილება უნდა ახორციელებდეს სტუდენტთა საწარმოო, სასწავლო საცურაო პრაქტიკით უზრუნველყოფას, მხარდაჭერას დასაქმების კუთხით, გაცნობას შრომის ბაზრის დინამიკასთან მიმართებით, სპორტულ, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვას და ხელშეწყობას დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი სახარჯი მასალის აღრიცხვის სია, სადაც მითითებულია არსებული რაოდენობები.

**დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროგრამით გათვალისწინებული 40 კრედიტიანი საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის განახორციელოს საკუთარ მფლობელობაში არსებული გემის „კაპიტანი ო. ჩახვაძთან" ერთად მოიძიოს ალტერნატიული პრაქტიკის ობიექტები;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციური ვიზიტის დროს დაწესებულებისგან ექსპერტებმა დამატებით მიიღეს წერილი შპს LMNT-ს გენერალური დირექტორისგან, იმის შესახებ, რომ ბუქსირ „ახტიარზე“ მიმდინარეობს სარეგისტრაციო დოკუმენტების განახლების პროცესი, რომელიც დასრულების პროცესშია. წერილს თან ერთვის დანართი - საკლასიფიკაციო საზოგადოების დირექტორის ცნობა, რომ ბუქსირ „ახტიარის“ დოკუმენტების შემოწმების დასრულება მოხდება 11.10. 2021.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 27 ოქტომბრის სენატის სხდომის დადგენილება/ოქმით N 22 დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმა, რომლის თანახმად 2021 წლის 29 ნოემბერს დასრულებული იქნება შემდეგი აქტივობები:

დაზუსტდება ბუქსირ „ახტიარზე“ ერთდროულად მყოფი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა უსაფრთხოების და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით; გადამოწმდება პრაქტიკის ობიექტის ლიცენზიის ვადა; განახლდება პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება; ხელშეკრულებაში დაკონკრეტდება პროფესიული პროგრამის დასახელება, პროგრამების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც ერთდროულად მიიღებს პრაქტიკის ობიექტი; ხელშეკრულებებში დაკონკრეტდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება და შემავალი მოდულ(ებ)ი/სწავლის შედეგები, რომლებიც მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე.

შესაბამისად, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.

2. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად 1 მასწავლებელზე განსაზღვრულია 20 სუდენტი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ 313 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული, მათ შორის 160-ს გემის სამანქანე განყოფილების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**ექსპლუატაციის პროგრამაზე.** მასწავლებლის კვირის დატვირთვა კი განსაზღვრულია 40 საათი კვირის განმავლობაში. გემბანის ექსპლუატაციის პროფესიულ პროგრმის განხორციელებაში ჩართულია 27 პოფესორ-მასწავლებელი, რაც საკმარისი ზღვრული რაოდენობით განსაზღვრული სტუდენტებისთვის. **რეკომენდირებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს მინიმუმ იმ ვადით, რომ საფრთხე არ შეექმნას პროგრამის განხორციელების მდგრადობას (წარმოდეგნილი ხელშეკრულებები 2021 წლის აპრილშია გაფორმებული 18 თვით, პროგრამის ხანგრძლივობა 15 თვეა).**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები, სადაც ერთ-ერთ მოთხოვნად განსაზღვრული აქვს მეზღვაურის პროფესიული გამოცდილება. აღნიშნული პროგრამის განმახორციელებლებიდან შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა რამოდენიმე მასწავლებლის პირადი საქმე. ერთს გააჩნია გემთწამყვანის კვალიფიკაცია და საზღვაო გამოცდილება როგორც კაპიტანის, ხოლო მეორეს, როგორც გემის მექანიკოსის კვალიფიკაცია და გემის სავახტო თანაშემწის. ზოგადი მოდულების განმახორციელებლებს გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია. მათ აქვთ პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება, თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ მასწავლებლებს ესაჭიროებათ ხელშეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და ასევე შეფასების სისტემის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც მათთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გამოყოფილია 90000 ლარი. ექპეტრთა შეფასებით ეს თანხა საკმარისია პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის წლის განმავლობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროგრამის ხელმძღვანელს გაჩნია უმაღლესი განათლება გემთმექანიკოსის სპეციალობაში და შესაბამისად გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია. მას ასევე გააჩნია სავახტე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი და საზღვაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელები გაცნობილები არიან უფლება-მოვალეობებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გამოგზავნილ დოკუმენტზე - ფუნქციონალურ მავალეობებზე მათი ხელმოწერით.

5. ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამაში **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკის მარეგულირებელი დოკუმენტი. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონულ ბაზებზე წვდომა EVEGreen და EBSCO. ბიბლიოთეკას ემსახურება 2 თანამშრომელი, სამუშაო საათები დადგენილია ორშაბათი-შაბათი 10-20 საათამდე, 5-5 საათიანი სამუშაო დატვირთვით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 კომპიუტერი და მის სივრცეში მუშაობა ერთდროულად შეუძლია დაახლოებით 15 სტუდენტს. დაწესებულებას აქვს ცალკე გამოყოფილი წიგნსაცავი. გასულ წელს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 65 წიგნით. მიმდინარე წარმოების დროს მოხდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის გამოთხოვა შემოწმების მიზნით. მოთხოვნილი ლიტერატურა წარმოადგინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა.

6.ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფილია სსსმ პირებისათვის. დაწესებულებაში არის ლიფტი, პანდუსი, არსებობს 1 ადაპტირებული სველი წერტილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე **გემის სამანქანე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამის** დაშვების წინაპირობა ითხოვს შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობას და ამიტომ აღნიშნულ პროგრამაზე დადგენილი ჯანმრთელობის სტანდარტის დაკმაყოფილების გარეშე პირები არ დაიშვებიან.

7. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში (2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი)ასახულია, როგორც მთლიანი დაწესებულების ფინანსური აღრიცხვა, ასევე ცალკეული პროგრამების.

წარმოდგენილი ბიუჯეტი მოიცავს აქტიური სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავალს, მათ შორის სახელმწიფო დაფინანსებას, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია მხოლოდ მასწავლებლებზე გაწეული ხარჯები, პროგრამის სხვა ხარჯების გათვალისწინება ხდება საერთო ბიუჯეტში, თუმცა საერთო ბიუჯეტში ნათლად არ ჩანს კონკრეტულად პროფესიულ განათლების ხელშეწყობისა და წარმართვისათვის რა ხარჯებია გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. დაწესებულებას წინა ადმინისტრაცული წარმოების დროს ჰქონდა რეკომენდაცია ნათლად ყოფილიყო გაწერილი **პროგრამის რეალური ბიუჯეტი რომ უფრო მარტივად ყოფილიყო მოსახერხებელი პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმაში რეკომენდაციის შესრულების ვადად დადგენილია 30.01.2022, რადგანაც ანგარიშების დახურვა ხორციელდება ყოველი მომდევნო წლის 15 იანვარს, სადაც იქნება მკაფიოდ გაწერილი ყველა ოპერაცია და ბიუჯეტის ათვისება მუხლების მიხედვით. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ 2022 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის მომზადების დროს გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული და ისე გაწეროს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომ ექსპერტებმა ადვილად მოახდინონ პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *დაწესებულების ბიუჯეტი/პროგრამის ბიუჯეტი;*
- *მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვის გეგმა;*
- *ფუნქციონალური მოვალეობები;*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*
- *ხელშეკრულებები საკრუინგო კომპანიებთან, ნავსადგურთან, სოჩი14-ის მფლობელთან;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული პირების - სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, დარგის ექსპერტების ფოკუს-ჯგუფებს. დებულების მიხედვით განსაზღვრულია, რომ დამსაქმებელთა მიერ შეფასებას დაწესებულება 2 წელიწადში ერთხელ ატარებს, სტუდენტების მიერ შეფასებას სემესტრულად. შეფასების საფუძველზე მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს და წარადგენს ხელმძღვანელობის შემაჯამებელ ანალიზზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიზანია სასწავლებელმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

განახორციელოს პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე შიდა და გარე კვლევები, რათა მან შეძლოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება/ანალიზი, არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის და შემდგომი საქმიანობის ეფქტურად დაგეგმვისთვის. **რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს მეთოდოლოგიის დასახელებას, რადგანაც მას „შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია“ ეწოდება, თუმცა შინაარსობრივად მოიცავს საკითხებს შიდა და გარე კვლევებთან მიმართებით.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დებულება, სადაც ასახულია დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების შეფასებისა და განვითარების ხარისხის მექანიზმებით უზრუნველყოფა. გამოყოფილია დაწესებულების 4 ძირითადი მიმართულება რომელზეც ვრცელდება ხარისხის შეფასების სისტემა: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების შეფასება; სასწავლებლის რესურსების შეფასება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება; სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება.

დებულების მიხედვით განსაზღვრულია როგორც შიდა მექანიზმების ორგანიზებისა და უზრუნველყოფის პროცესები ასევე არსებული და გამოყენებული გარე მექანიზმები. როგორც დებულებაშია აღნიშნული დაწესებულება იყენებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას როგორც პროგრამებთან მიმართებაში ასევე მასწავლებლების შეფასებას, და დაწესებულების სხვა აქტივობებთან მიმართებით. დოკუმენტში გაწერილია გეგმა თუ რომელი კვლევის ჩატარება რომელ თვეში არის დაგეგმილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულება ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს ხელმძღვანელობასთან, სადაც განიხილავს ჩატარებული შეფასების ანალიზს. გარდა ხარისხის მართვის სისტემის ანგარიშისა, დაწესებულება შეიმუშავებს ხარისხის მართვის სისტემის ანალიზს, რომელიც შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულებისაგან მიწოდებული მონაცემების საფუძველზე.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური, პერიოდული და საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევების შედეგად გამოკვეთს გასაუმჯობესებელ საკითხებს და გასცემს რეკომენდაციებს, შემდეგ კი აკვირდება შედეგებს და ხარისხის განვითარების ციკლი ხელახლა იწყება.

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, გარდა შიდა შეფასებების/კვლევების შედეგად გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ რეკომენდაციების გაცემისა, სასწავლებელი ასევე იყენებს გარე მარეგულირებლების მიერ ჩატარებულ შეფასებას.

დაწესებულება პანდემიიდან გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე თავისი პროგრამები განახორციელა დისტანციურად. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ჩაატარა სტუდენტების გამოკითხვა და გააკეთა ანალიზი თუ სტუდენტთა რა რაოდენობას აქვს უპრობლემო წვდომა ინტერნეტთან და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფასთან. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილი იყო მიწოდებული დისტანციური სწავლებით. სტუდენტებს რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტის პრობლემა დაწესებულებამ შესთავაზა თავისი ინფრასტრუქტურა, აღნიშნულს იყენებდა დაახლოებით 15 პროფესიული სტუდენტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების გამოვლენის და მართვის პროცედურა. პროცედურის შესაბამისად იდენტიფიცირებული შეუსაბამობა უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ჟურნალში (რომელიც შეიძლება იყოს როგორც მყარი ასევე ელექტრონული სახით).

ექსპერტებმა შეისწავლე დაწესებულების მაკორექტირებელი გეგმა, რომელშიც ავტორიზაციის ქვესტანდარტები დაწესებულებას შეფასებული აქვს „მეტწილად“, მათ შორის 2.3 და 2.4 ქვესტანდარები. ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას და აღნიშნულ ქვესტანდარტებს აფასებენ, როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.

**ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მაკორექტირებელი გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას 2.3 კომპონენტი მეტწილად აქვს შეფასებული. დაწესებულება გეგმავს ჩატარდეს კვლევა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა სტატისტიკის, დამსაქმებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების და გამოხმაურებების გათვალისწინებით. განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პირობებით, სასწავლო პროცესით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და სწავლების ხარისხით, სტუდენტური სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევა შესაბამისი გამოკითხვების საშუალებით. ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულებას და აღნიშნულ კომპონენტებს აფასებენ, როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N81-ით პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *შიდა კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება"*
- *ინტერვიუს შედეგები*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებამ წარმოადგინა **გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის** პროგრამისათვის შემუშავებული სასწავლო გეგმა, რომელიც ფარავს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა მოდულს.გადანაწილებული საათებით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ასევე დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა კონკრეტული მოდულისთვის შედგენილი სასწავლო გეგმა, რომელშიც წრმოდგენილია კონკრეტული კვირების მიხედვით დაგეგმილი სალექციო თუ პრაქტიკული მეცადინეობები შესაბამისი სწავლის შედეგებისა და საათების მითითებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ პანდემიიდან გამოწვეული დაბრკოლებების გამო დაწესებულებამ შეაჩერა პროფესიული სწავლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელა ის მოდულები, რომლებიც არ საჭიროებდნენ წინა პირობის არსებობას, შესაბამისად გასული წლის განმავლობაში დაწესებულებამ ვერ განახორციელა სასწავლო პროცესი გაწერილი სასწავლო გეგმის მიხედვით. როგორც დამატებით მოწოდებული დოკუმენტებით ირკვევა დაწესებულებამ დისტანციური სწავლებით განხორციელდა 7 მოდული.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და ითვალისწინებს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის პროცესში. პანდემიით გამოწვეული სირთულეების დროს დაწესებულებამ შექმნა ელექტრონული პლატფორმა რათა ეფექტურად გაეხორციელებინა დისტანციუდ სწავლება. ასევე დაწესებულებამ გაითვალისწინა სტუდენტების მიერ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა და შესთავაზა თავისი ინფრასტრუქტურა სწავლებაში ჩართვის მიზნით. დაწესებულება ასევე სტუდენტებს სთავაზობს საშეღავათო გადახდის მექანიზმებს სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

3. ექსპერტთა მიერ დაწესებულების დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ ყველა სასწავლო ოთახში დამონტაჟებულია ელექტრო-მონიტორები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, რომელიც აძლევს მასწავლებელს საშუალებას წარმოადგინოს პრეზენტაციები თუ საჩვენებელი ვიდეო მასალა. დაწესებულებას ასევე გააჩნია სიმულატორები პროფესიულ სტუდენტებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუმაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

4. დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესი და მეთოდები საჭიროების შეთხვევაში.ექსპერტთა შეფასებით **რეკომენდირებულია დაწესებულება ასევე მობილობის შემთხვევაში ითვალისწინებდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და პროფესიული სტუდენტისათვის შეთავაზებას.**

5. ჩაჩრო დოკუმენტის საწარმოო პრაქტიკის მოდულში განსაზღვრულია, რომ სამუშაოს შეფასებისათვის აუცილებელია გემის კაპიტნის მიერ გაცემული დახასიათება საწარმოო პრაქტიკის გავლისას გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესახებ. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ საკრუინგო კომპანიასთან **15.07.2021** გაფორმებულ ხელშეკრულებაში, როგორც მეორე მხარის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პრაქტიკის „ახტიარ“-ის კაპიტნის მიერ შეფასებასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულია მოდულით.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც გაცხადებული აქვს რომ ხელმძღვანელობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს როგორც სტუდენტთა ასევე თანამშრომელთა უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში. დაწესებულებას ჰყავს უსაფრთხოების დაცვის მენეჯერი, რომლის ვალდებულებაა უზრუნველყოს წესრიგი სასწვლებლის ტერიტორიაზე. მას ევალება ასევე სახნძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლის გამართული სისტემის არსებობა და შესაბამისი წვრთნის ჩატარება დაწესებულების თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის.

შენობის პირველი სართულის ფოიე, შენობის წინა მხარის შიდა და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო-მონიტორინგით. ვიდეო-მონიტორინგის ჩანაწერები ინახება 5-7 დღემდე. შენობის სხვა სართულებზე და უკანა ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ვიდეო-მონიტორინგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით დაწესებულების პირველ სართულზე მოწყობილ C გარემოში ხორციელდება პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი, შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო აუდიტორია გათვლილია 18 პროფესიულ სტუდენტზე, მოწყობილია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ოთახი, სადაც განთავსებულია პირადი გადარჩენისათვის საჭირო ინვენტარი. ექსპერტთა შეფასებით პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ მოსასვენებელ გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N81-თ პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *„პროფესიული მოდულური პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის დებულება“*
- *კალენდარული დატვირთვის გეგმა;*
- *ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის წარმომადგენლებთან;*
- *ინტერვიუს შედეგები .*

შეფასება:

☐ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას პროგრამაში განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. შეფასება შეიძლება იყოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

შეფასების თითოეული ინსტრუმენტისთვის (ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, პრაქტიკული დავალების შესრულება...) დამტკიცებული აქვს შესაბამისი ფორმა სადაც ხდება შეფასების შედეგების ასახვა თითოეული სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ დისტანციური ვიზისტისას ინტერვიუს დროს როგორც მასწავლებლებმა, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა და თავად სტუდენტებმა განაცხადეს რომ  პანდემიიდან გამომდინარე ჯერ არ მომხდარა არც ერთი მოდულის შედეგების შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზე განსაზღვრავს პროფესიული პროგრამებისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ვერიფიკაციის ორ ტიპს შიდა და გარე ვერიფიკაციას და ასევე შეფასების ინსტრუმენტებს. იმისათვის, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, დაწესებულებამ სასურველია დაიცვას ვერიფიკაციის მექანიზმი და უზრუნველყოს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამასთან, შეფასების ინსტრუმენტში დადასტურებული იყოს დავალების შემსრულებელი პირის (პროფესიული სტუდენტის) ხელმოწერის

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები იქნება აღრიცხული და შენახული მინიმუმ 3 წლის ვადით როგორც ამას ითხოვს სტანდარტი.

4. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი. წესის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის ასევე ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

**მაკორექტირებელი გეგმის შესაბამისად დაწესებულებას 2.4 კომპონენტი შეფასებული აქვს მეტწილად. დაწესებულება გეგმავს: 1) სასწავლო გეგმებისა და კალენდარული გეგმების ადაპტირებას; 2) შეფასების პროცესში მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების უზრუნველყოფას; 3) შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის დაგეგმვასა და მართვაა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში; 4) შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციის უზრუნველყოფას; 5) ვერიფიკაციის პროცესის სანდოობის უზრუნველყოფაა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის გზით; 6) ვერიფიკაციის განხორციელების წესისა და პერიოდულობის დადგენას; ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულებას და კომპონენტს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *2021 წლის 20 ივლისის გენერალური დირექტორის ბრძანება N81-თ პსდ-ს თვითშეფასების საფუძველზე შემუშავებული მაკორექტირებელი ქმედებების (სტანდარტებთან შესაბამისობის / გაუმჯობესების) გეგმა;*
- *დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):*
- *კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *შეფასების უწყისები;*
- *კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;*
- *ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

**ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება** ☒

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | **144 პროფესიული სტუდენტი, ქ.ბათუმი შ.ინასარიძის ქ.N 29, მოდულური** |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს | -------------------- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

| | |
|---|---|
| ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

PDF Eraser Free

**დასაბუთება**

გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საბაზო პროფესიული პროგრამა ითვალისწინებს 40 კრედიტიან საწარმოო პრაქტიკას 24 კვირიანი ხანგძლივობით, რომელიც უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში, რაც გულისხმობს გემზე სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფას. ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის ანრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დისტანციურ რეჟიმში ჩატარებული შეფასების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას **200** პროფესიულ სტუდენტზე, რადგან ხელშეკრულებით წარმოდგენილ, მხოლოდ ორ გემს „კაპიტან ო. ჩახვაძეს" და „სოჩი 14" გააჩნია შესაბამისი საბუთბი და ამ ორი გემიდან „სოჩი 14" არ იმყოფება საქართველოში და გაუგებარია როგორ გამოიყენებს მას სასწავლებელი, როგორც პრაქტიკის კომპონენტს, ხოლო ბუქსირ „ახტიარს" არ გააჩნია ვადიანი სარეგისტრაციო საბუთები. ამიტომ სანამ დაწესებულება არ მოაგვარებს აღნიშნულ საკითხებს „სოჩი 14"-ზე და ბუქსირ „ახტიარზე" პროფესიულ სტუდენტთა განთავსება და წვრთნა ვერ მოხერხდება. პროფესიულ სტუდენტთა განთავსება და წვრთნა ამჯერად შესაძლებელია მხოლოდ გემ „კაპიტან ო. ჩახვაძეზე", რომელზეც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

შესაძლებელია ერთდროულად 36 სტუდენტის ყოფნა.ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტი ყოველ დღე 6 საათის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს გემზე და ეუფლებოდეს პროფესიასთან დაკავშირებულ უნარებს, რადგან საბოლოოდ მასზე უნდა გაიცეს ნაოსნობის სტაჟი, რაც არის საფუძველი მისი შემდგომი პროფესიული ნიშნით სერტიფიცირებისა. ნაოსნობის სტაჟი კი კანონმდებლობის შესაბამისად არის გემზე გატარებული პერიოდი. დაწესებულებას შეუძლია 6 საათიანი განრიგით ოთხ ცვლაში განათავსოს აღნიშნულ გემზე ოთხი ჯგუფი, რაც საერთო ჯამში **144** პროფესიულ სტუდენტს მოიაზრებს ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. პროფესიულ პროგრამებზე მიღება წელიწადში ერთხელაა, როცა პირველი მიღების პროფესიული სტუდენტები პრაქტიკაზე წავლენ მეორე მიღების პროფესიული სტუდენტები კოლეჯში იქნებიან. აუდიტორიები(A, B,C გარემო) გაატარებს ორივე პროგრამისთვის ერთდროულად 144 სტუდენტს.

**ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტების შეფასებით დაწესებულებას შეუძლია მიიღოს 144 პროფესიული სტუდენტი გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საბაზო პროფესიულ პროგრამაზე.**

XIII. თანდართული დოკუმენტაცია - სულ 7გვერდი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(თბილისი, 2021)*

PDF Eraser Free

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 3 გვერდი, თანდართული დოკუმენტაცია ცენტრში წარმოდგენილია დასკვნის პროექტთან ერთად.

29.10. 2021
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი, 2021)*